თბილისი

# განვახორციელოთ სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი.
№ 264 (12178)
კვირა, 19 ნოემბერი, 1961 წ.
ფასი 2 კაპ.

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

**ჩვენ**, სკკპ XXII ყრილობის შედეგებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური პარტიული აქტივის კრების მონაწილენი, საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით მხურვალე კომუნისტურ სალამს და უსაზღვრო მადლობას ვუძღვნით მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის სახელოვან ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით დაუცხრომელი ზრუნვისათვის ხალხის კეთილდღეობაზე, ტიტანური საქმიანობისათვის, რომლის მიზანია მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და ბედნიერების გამარჯვება.

გადაწყვეტილებები სკკპ XXII ყრილობისა, რომელმაც დასახა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიდებული პროგრამა, ყოველ ჩვენგანში წარმოშობს სიამაყის გრძნობას თავისი სოციალისტური სამშობლოსათვის, მშობლიური კომუნისტური პარტიისათვის. ყველაფერი, რასაც პარტია აკეთებს, ხმარდება ხალხის კეთილდღეობას, ჩვენი მძლავრი სახელმწიფოს შემდგომ აყვავებას. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს მარქსიზმ-ლენინიზმის დიად იდეებს, მტკიცედ ახორციელებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას. სწორედ ამან გახადა შესაძლებელი ის უმაგალითო აყვავება, რასაც 40 წლის განმავლობაში მიაღწია საბჭოთა საქართველომ მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების ურღვევ ერთიან ოჯახში. საბჭოთა საქართველოს ყველა წარმატება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების თვალსაჩინო მაგალითია.

ჩვენ, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრების მონაწილენი, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა მშრომელნი, მთლიანად და სავსებით ვიწონებთ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ კურსსა და პრაქტიკულ საქმიანობას საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი და მასალები, რომლებიც ძვირფასი წვლილია მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების საგანძურში, აღაფრთოვანებენ კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს გმირული ბრძოლისათვის კომუნიზმის გასამარჯვებლად.

ყრილობის მიერ მიღებული ახალი პროგრამა გრანდიოზულია თავისი მიზნებით და სავსებით რეალურია მათი განხორციელების შესაძლებლობით. ეს არის კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამა. იგი სახავს ახალ, სასახელო ეპოქას კაცობრიობის ისტორიაში. პროგრამაში გამოცხადებული დიადი კომუნისტური იდეალები—ყველა ხალხის მშვიდობა, შრომა, თანასწორობა, ძმობა და ბედნიერება აღაფრთოვანებენ მთელ საბჭოთა ხალხს და მსოფლიოს ყველა მშრომელს. შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით თავიდან ბოლომდე გამსჭვალული სკკპ პროგრამა აცხადებს დიად მიზანს, რომელიც მკაფიოდ გამოხატულია შთაგონებული სიტყვებით — საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს!

აი ამიტომ პროგრამას სამართლიანად ეწოდა ჩვენი ეპოქის კომუნისტური მანიფესტი.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, რესპუბლიკის ყველა მშრომელმა ერთსულოვნად მოიწონეს ცენტრალური კომიტეტის უდიდესი მუშაობა ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტისა და მისი მავნე შედეგების დასაძლევად, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღსადგენად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ცხადყო თავისი ლენინური წრთობა, რევოლუციური, შემოქმედებითი სულისკვეთება და შეურიგებლობა მარქსიზმ-ლენინიზმიდან ყოველგვარი გადახრისადმი, ამხილა და იდეურად გაანადგურა მოლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვისა და სხვათა ანტიპარტიული ჯგუფი, რომლებიც ცდილობდნენ აეცდინათ პარტია და ჩვენი ქვეყანა ლენინური გზიდან.

ყველა კომუნისტის სახელით ჩვენ პირობას ვაძლევთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც სკკპ განუყოფელი შემადგენელი ნაწილია, განუხრელად განახორციელებს პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებს, განამტკიცებს პარტიული რიგების ერთიანობას და წმიდად დაიცავს მის სისუფთავეს, მაღლა ეჭირება მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი დროშა.

საქართველოს სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები, სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, ამ დღეებში კისრულობენ ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს. კიდევ უფრო ძლიერდება საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

რუსთავის მეტალურგებს, ქუთაისის მანქანათმშენებლებს, ტყვარჩელისა და ჭიათურის მაღაროელებს, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს, საბჭოთა საქართველოს დედაქალაქ თბილისის მრავალ სამრეწველო საწარმოს მშრომელებს, ქართველი ინტელიგენციის მრავალათასიან რაზმს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განახორციელონ კომუნისტური პარტიის დიადი წინასწარდასახულობანი.

საქართველოს მშრომელები, სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, ხედავენ მათ წინაშე დასახულ ახალ შესანიშნავ პერსპექტივებს, ღრმად აქვთ შეგნებული, რომ კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა უდიდესი შემოქმედებითი ღონისძიებანი, დიდი შთაგონებული შრომა.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკები, ყველა მშრომელნი თავიანთ მეცადინეობას ახმარენ იმას, რომ წარმატებით დაამთავრონ 1961 წელი, და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი აიღონ ახალი ზღუდეები დიად საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენებისათვის. ისინი დარწმუნებული არიან ახალი პროგრამის წარმატებით განხორციელებაში. ამის საწინდარია საბჭოთა ხალხის თავდადებული შემოქმედებითი შრომა კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში უდგას ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.

დაე უფრო ძლიერ ბრწყინავდეს დედამიწაზე მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი დროშა, დიდი ოქტომბრის ყოვლისმძლე დროშა.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხების ურღვევ ძმურ მეგობრობას — ჩვენი სამშობლოს ძალისა და ძლიერების წყაროს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის დიად კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს კომუნიზმს — მთელი კაცობრიობის ნათელ მომავალს!

**საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება**

# ბრძანება

## სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1961 წლის 19 ნოემბერი № 257 ქ. მოსკოვი

ამხანაგო მერაკეტეებო და არტილერისტებო, სარაკეტო და საარტილერიო მრეწველობის მუშაკებო!

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი მეომრები არტილერიის დღეს აღნიშნავენ.

ეს ტრადიციული დღესასწაული იმ დღეებში იმართება, როცა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი განიხილავს და მხურვალედ იწონებს სკკპ XXII ყრილობის — კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. საბჭოთა კავშირის მშრომელები, კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი, თავიანთი თავდადებული შრომით ცხადყოფენ განუხრელ ნებას — განახორციელონ სსრ კავშირში კომუნიზმის აშენების დიდებული პროგრამა.

თანამედროვე საერთაშორისო ვითარება მერაკეტე და არტილერისტი მეომრებისაგან, ისევე როგორც სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მთელი პირადი შემადგენლობისაგან, მოითხოვს ფხიზლად დაიცვან საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა, მზად იყონ გაანადგურონ ყოველი აგრესორი, თუ იგი გაბედავს და ხელყოფს ჩვენს საყვარელ სამშობლოს.

მოგესალმებით და გილოცავთ დღესასწაულს — არტილერიის დღეს!

ვუსურვებ რაკეტული ჯარებისა და არტილერიის პირად შემადგენლობას შემდგომ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, მხედრული დისციპლინის განმტკიცებაში, ახალი ტექნიკისა და იარაღის დაუფლებაში, ნაწილებისა და შენაერთების სიფხიზლისა და ბრძოლისათვის მზადყოფნის ამაღლებაში.

სარაკეტო და საარტილერიო მრეწველობის ყველა მუშაკს ახალ მიღწევებს ვუსურვებ პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკისა და შეიარაღების შექმნაში.

დღესასწაულის აღსანიშნავად ვბრძანებ:

დღეს, 19 ნოემბერს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, აგრეთვე გმირ ქალაქებში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი
რ. მალინოვსკი.

# არტილერიის დღის აღსანიშნავად

18 ნოემბერს თბილისის ოფიცერთა სახლში გაიმართა არტილერიის დღისადმი მიძღვნილი საღამო. დარბაზში შეიკრიბნენ თბილისის გარნიზონის ჯარების წარმომადგენლები, თადარიგის გენერლები და ოფიცრები, საწარმოთა მოწინავენი, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები.

მოხსენება არტილერიის დღის შესახებ გააკეთა გენერალ-მაიორმა ი. ქ. კოვალენკომ.

საბჭოთა არტილერისტებს მიესალმნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დელეგატი, თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის მოწინავე გამომჭრელი ლ. დავითაძე, 26 ბაქოელი კომისრის სახელობის თბილისის წითელდროშოვანი საარტილერიო სასწავლებლის კურსანტი ა. მიშჩენკო და სხვები.

* * *



**სურათზე:** ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის N ნაწილის წარჩინებული არტილერისტები ზ. ვარშანიძე (მარცხნივ) და გ. კონსტაევი.

ფოტო [illegible]

# საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

სკკპ ისტორიული XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის ნიშნით, მაღალ იდეურ დონეზე, საბრძოლო შეკავშირების, პრინციპულობისა და საქმიანობის ვითარებაში ჩაიარა 17 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკური პარტიული აქტივის კრებამ. მან მკაფიოდ ასახა ის სასიხარულო შემოქმედებითი აღმავლობა და უდიდესი აღფრთოვანება, რომლითაც რესპუბლიკის კომუნისტები და ყველა მშრომელნი შეუდგნენ პარტიის ბრძნულ წინასწარდასახულობათა განხორციელებას.

საქართველოს კომუნისტთა 220-ათასიანი რაზმი — სკკპ ერთ-ერთი უძველესი მებრძოლი რაზმი, მჭიდროდ შეკავშირებული პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც სათავეში უდგას ნ. ს. ხრუშჩოვი, მთელ ძალღონეს, ცოდნასა და ენერგიას ხმარობს, აჩაღებს ორგანიზატორულ მუშაობას, რათა სათავეში ჩაუდგეს მასების შემოქმედებით აქტივობას, წარმართოს იგი სკკპ ისტორიული XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ხანგრძლივი ტაშის გრიალში კრების საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით.

სიტყვა მოხსენებისათვის სკკპ XXII ყრილობის შედეგებისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ ეძლევა ამხ. ვ. პ. მჟავანაძეს.

# ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება

ყრილობის მუშაობის დღეებში, თქვა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ, საბჭოთა ადამიანების, მთელი პროგრესული კაცობრიობის ფიქრები და თვალი მიპყრობილი იყო ლენინური პარტიის დიადი ფორუმისადმი. ეს შემთხვევითი როდია. ჩვენი ქვეყანა, რომელსაც სახელოვანი ლენინური პარტია ხელმძღვანელობს და რომელიც მშვიდობისა და დემოკრატიის ბურჯია, მთელ პროგრესულ კაცობრიობას მიაჩნია გზის მანათობელ ვარსკვლავად, რომელიც გვიჩვენებს ნათელი მომავლის — კომუნიზმის გზას.

პარტიის XXII ყრილობამ განიხილა საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და შრომის, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის უმნიშვნელოვანესი საკითხები. ყრილობის მთელი მუშაობა თავიდან ბოლომდე გამსჭვალული იყო შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ისტორიული გამოსვლები ყრილობაზე, პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც ყრილობამ მიიღო, წარმოადგენენ შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაჩინო ნიმუშს, უძვირფასეს წვლილს მარქსისტულ-ლენინური იდეების საგანძურში.

XXII ყრილობამ ყოველმხრივ განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და მთლიანად და სავსებით მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კურსი და პრაქტიკული საქმიანობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. ყრილობამ განსაკუთრებული აღმავლობით მიიღო სკკპ ახალი პროგრამა და პარტიის წესდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა. ეს ყრილობა, რომლითაც აღინიშნა ჩვენი პარტიისა და ქვეყნის, მსოფლიო სოციალისტური ბანაკის ცხოვრების, მთელი კომუნისტური და მუშათა მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპი, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის გმირულ ისტორიაში შევა როგორც ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო და შთაგონებული ფურცელი.

სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები თვალსაჩინო წვლილია მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებით განვითარებაში. ამ გადაწყვეტილებებში მოცემულია თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი საკითხების ღრმა მეცნიერული ანალიზი, ყოველმხრივ განზოგადებულია საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოცდილება. ყრილობის დოკუმენტებში განსაზღვრულია შემდგომი გზები და მეთოდები, ნაჩვენებია იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ახალი შესაძლებლობანი და ამოცანები. ყრილობის გადაწყვეტილებანი ნათელ ორიენტაციას იძლევიან ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის საქმიანობისათვის.

მოძმე კომუნისტური პარტიების წარმომადგენლებს ყველა საფუძველი ჰქონდათ შეედარებინათ სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი და, განსაკუთრებით, ყრილობის მიერ მიღებული პროგრამა, მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისა და მშრომელთა გზის მანათობელი ვარსკვლავისათვის მათს დიად ბრძოლაში მშვიდობის, თავისუფლების და უკეთესი ცხოვრების მისაღწევად, ყველაზე სამართლიანი საზოგადოების — კომუნიზმის შესაქმნელად.

პარტიის XXII ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ, ის არის, რომ ყრილობამ შეაჯამა საბჭოთა ხალხისა და მისი მებრძოლი ავანგარდის — ლენინური პარტიის თავდადებული ბრძოლისა და შრომის შედეგები კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, მიიღო პარტიის ახალი პროგრამა — თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი და დასახა კომუნიზმის მშენებლობის კონკრეტული გეგმა.

ყრილობის მიერ მიღებული სკკპ პროგრამა მარქსიზმში პირველად იძლევა კომუნისტური საზოგადოების გაშლილ სურათს, რომელიც უკვე იქმნება ჩვენს ქვეყანაში. პროგრამა გვიჩვენებს კომუნიზმის აშენების გზებსა და საშუალებებს. მასში დაწვრილებით არის შემუშავებული საკითხი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ, საზოგადოებრივი საკუთრების ორი ფორმის დაახლოებისა და ერთიან, კომუნისტურ საკუთრებად გადაზრდის შესახებ, კოლმეურნეობების, როგორც გლეხობისათვის კომუნიზმის სკოლის შესახებ, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის კომუნისტურად გარდაქმნის კანონზომიერებათა შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც ყრილობამ მიიღო, თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით. მისი შემუშავება შესაძლებელი გახდა იმ უდიდესი მუშაობის შედეგად, რომელიც პარტიამ განახორციელა უკანასკნელ წლებში, პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის, ანტიპარტიული ჯგუფის იდეური, პოლიტიკური და ორგანიზაციული განადგურების, სკკპ XX ყრილობის ლენინური კურსის გამარჯვების შედეგად.

სკკპ ახალი პროგრამა მოიცავს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეს, იძლევა კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის უღრმეს მარქსისტულ-ლენინურ ანალიზსა და მეცნიერულ დასაბუთებას, რაც თანამედროვე ეპოქის ძირითადი ნიშანთვისებაა. პროგრამა აყენებს ჩვენი პარტიის პრაქტიკულ ამოცანებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დარგში, გამოთქვამს კომუნიზმის გამარჯვების, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გამარჯვების მტკიცე რწმენას. ამიერიდან ახალი პროგრამა იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი საქმიანობის განმსაზღვრელი, გახდება მოქმედების საბრძოლო სახელმძღვანელო კომუნიზმის მილიონობით მშენებელთათვის.

ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ თქვა, რომ XX და XXI ყრილობების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საბჭოთა ხალხის გიგანტური ბრძოლის შედეგებმა თავიანთი გამოხატულება ჰპოვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში, რომელიც გააკეთა ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა. მის მოხსენებებში განსაკუთრებული სიღრმითა და რევოლუციური გაბედულებით დამუშავებულია კომუნისტური მშენებლობის ძირეული საკითხები, ყველაზე საარსებო საერთაშორისო პრობლემები. ამ ისტორიულ დოკუმენტებში მოცემულია საერთაშორისო მდგომარეობის ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, ჩამოყალიბებულია თანამედროვე ეპოქაში საზოგადოების განვითარების მთავარი ტენდენციები და კანონზომიერებანი, განსაზღვრულია საბჭოთა ქვეყნის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის—სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკის გენერალური კურსი, შეჯამებულია შედეგები პარტიული ორგანიზაციების მუშაობისა მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, სახალხო განათლების, კულტურისა და მეცნიერების განვითარების დარგში.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მსოფლიო ისტორიის ყველაზე დიდი მოვლენა იყო სოციალისტური რევოლუციების გამარჯვება ჩინეთში და ევროპისა და აზიის მთელ რიგ სხვა ქვეყნებში. მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა, რომელიც გადაჭიმულია ელბიდან ჩინეთის სამხრეთ ზღვებამდე და მოიცავს ქვეყნებს, რომელთა მოსახლეობა მილიარდზე მეტია,— ასეთია ძირითადი შედეგი საზოგადოების წინსვლითი განვითარებისა ჩვენს ეპოქაში.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვეს სოციალიზმის აშენების გზაზე. სოციალისტურმა წყობილებამ, რომელიც დამკვიდრდა მთელი მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ფარგლებში, უზრუნველყო საწარმოო ძალების განვითარების სწრაფი ტემპები, მშრომელთა ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება, ექსპლოატაციისაგან განთავისუფლება, პიროვნების ფართო სოციალური და პოლიტიკური უფლებები.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემის მზარდი ძლიერება უზრუნველყოფს სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური მონაპოვრების ურყეობას. ნამდვილად თავისუფალ ხალხთა თანამეგობრობის ფარგლებში უზრუნველყოფილია სოციალიზმის სრული გამარჯვება.

ჩვენს პარტიას თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია განამტკიცოს ყველა მოძმე პარტიის მეგობრობა და თანამშრომლობა, ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის მონოლითური ერთიანობა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე.

მომხსენებელმა შემდეგ ილაპარაკა მზარდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ, რომლის მძლავრი დარტყმებით ფაქტიურად დაიმსხვრა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა. მან აღნიშნა, რომ მსოფლიო კაპიტალიზმის პოლიტიკური მერყეობა განსაკუთრებით გაძლიერდა კლასობრივი ანტაგონიზმების გამწვავებასთან დაკავშირებით. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს წინააღმდეგობის გაღრმავება ერთ მუჭა მონოპოლისტებსა და ხალხთა ყველა ფენას შორის, მუშათა კლასის ბრძოლის უდიდესი გაქანება, გლეხთა მზარდი ბრძოლა, მშრომელთა მასობრივი გამოსვლები დემოკრატიის დასაცავად, ფაშიზმისა და სამხედრო-ტირანიული რეჟიმების წინააღმდეგ.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ ილაპარაკა მშვიდობის თანმიმდევრულ პოლიტიკაზე, რომელსაც განუხრელად ახორციელებს ჩვენი ქვეყანა, და აღნიშნა, რომ ჩვენ ვიბრძვით და ვიბრძოლებთ საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, რაც მშვიდობის ყველაზე საიმედო გარანტია იქნებოდა. მაგრამ იმპერიალისტთა მუქარის პასუხად უნდა განგვეხორციელებინა ღონისძიებანი ჩვენი თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად. ჩვენ იძულებული გავხდით განგვეახლებინა ატომური იარაღის გამოცდა. რადგანაც უნდა მოგვეპოვებოდეს საკმაოდ მძლავრი საშუალებანი, რათა ავკვეთოთ ომის წამოწყების ყოველი ცდა.

რაც უფრო დიდია სოციალისტური ბანაკის ძლიერება და რაც უფრო აქტიურად წარმოებს ბრძოლა მშვიდობისათვის თვით კაპიტალისტურ ქვეყნებში, მით უფრო უძნელდებათ იმპერიალისტებს განახორციელონ თავიანთი აგრესიული გეგმები.

სოციალისტური ქვეყნები თანმიმდევრულად ახორციელებენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას. სოციალიზმის მსოფლიო სისტემა მშვიდობისა და პროგრესის საიმედო ბურჯია.

მაგრამ ვიდრე არსებობს იმპერიალიზმი, ვიდრე არსებობენ იმპერიალისტი აგრესორები, ფხიზლად უნდა ვიყოთ, მზად უნდა გვქონდეს იარაღი, სრულვყოფდეთ სოციალისტური ქვეყნების თავდაცვას.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXII ყრილობისადმი, — განაგრძო ამხ. მჟავანაძემ, — ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა დაწვრილებით ილაპარაკა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი შევიდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. მოხსენებაში მოცემულია საბჭოთა ხალხის იმ გიგანტურ წარმატებათა შესანიშნავი სურათი, რომლებიც მოპოვებულია პარტიის ხელმძღვანელობით სკკპ XX ყრილობის შემდეგ. ცენტრალურმა კომიტეტმა კმაყოფილებით მოახსენა ყრილობას, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგი დაჩქარებული ტემპებით ვითარდება. განუხრელად უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა. ახალ სიმაღლეებამდე ავიდა საბჭოთა მეცნიერება და კულტურა. წარმატებით სრულდება შვიდწლიანი გეგმა.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ დაწვრილებით დაახასიათა წარმატებანი, რომლებიც საბჭოთა ქვეყანამ მოიპოვა პარტიის XX ყრილობის შემდეგ. მან აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში დიდ წარმატებებს მიაღწია ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება და კაპიტალური დაბანდებანი ყველა რესპუბლიკაში 1955 წელთან შედარებით ერთნახევარჯერ-ორჯერ და მეტად გაიზარდა.

პარტიის უდიდესი, დაუცხრომელი ზრუნვა მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის ნათლად დასტურდება საბჭოთა საქართველოს მაგალითით. განსაცვიფრებელი გარდაქმნები მოხდა ჩვენს რესპუბლიკაში პარტიის XX ყრილობის შემდეგ. უკანასკნელი ხუთი-ექვსი წლის მანძილზე საქართველოში შემდგომ განვითარდა მრეწველობა, გაიზარდა ფოლადის, თუჯის, ნაგლინის, ფეროშენადნობების, ელექტროენერგიის წარმოება, მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩარხების, მანქანების, კვების მრეწველობის ქარხნების მოწყობილობის გამოშვება.

დიდი სახსრები მოხმარდა მარგანეცის მრეწველობის განვითარებას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. საქართველოში მნიშვნელოვნად გადიდდა ბამბის, აბრეშუმისა და შალის ქსოვილების, ფეხსაცმლის, კვების მრეწველობის პროდუქტების წარმოება. ამ წლების მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგებიც. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ საქართველოს მრეწველობა ახლა უშვებს რთულ ხელსაწყოებს, თანამედროვე მძლავრ სამაგისტრალო ელმავლებს. მრეწველობის განვითარება რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად უსწრებს შვიდწლიანი გეგმის დავალებებს. შვიდწლედის მარტო ორ წელიწადში მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 15 პროცენტით გაიზარდა ნაცვლად საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული 12 პროცენტისა.

ყველა ამ შესანიშნავი მიღწევის შემოქმედნი ადამიანები არიან. ვნახობდით, როცა კრემლის ყრილობათა სასახლის დარბაზში ვხედავდით ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საუკეთესო ადამიანებს, ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან მშრომელთა არმიის წარმომადგენლებს, რომელთა ხელი ქმნის ახალ ტექნიკას, ხალხის სიმდიდრეს. XXII ყრილობას, რომელიც ყველაზე წარმომადგენლობითი იყო პარტიის ყველა წინანდელ ყრილობასთან შედარებით, საქართველოს პარტიული ორგანიზაციისაგან ესწრებოდა 118 დელეგატი, მათ შორის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის 45 მოწინავე. დელეგატები, რომლებიც ახლა ყრილობიდან დაუბრუნდნენ მშობლიურ ქარხნებსა და ფაბრიკებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, გვიჩვენებენ პარტიის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის თავდადებული ბრძოლის ნიმუშს. ამ მოწინავეებს მხარს უსწორებს ჩვენი რესპუბლიკის ასობით და ათასობით მშრომელი.

ახლა კი, ყრილობის მუშაობის დამთავრების შემდეგ, ჩვენს ქვეყანაში აურაცხელი საქმეა. მთელმა საბჭოთა კავშირმა მხურვალედ მოიწონა კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გეგმები, რომლებიც ყრილობამ მიიღო. ახალი ძალით ჩაღდება ბრძოლა შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ შვიდწლიანი გეგმის შესრულება ჩვენს სამშობლოს გაიყვანს ისეთ ზღუდეზე, როცა უკვე მცირე დრო იქნება საჭირო, რათა გავუსწროთ შეერთებულ შტატებს ეკონომიურად. ახლა საბჭოთა კავშირმა უკვე გაუსწრო შეერთებულ შტატებს რკინის მადნისა და ქვანახშირის მოპოვების მოცულობით, კოქსის, ასაწყობი რკინაბეტონის, სამაგისტრალო ელმავლებისა და თბომავლების, დახერხილი მასალის, შალის ქსოვილების, შაქრის, ერბო-კარაქის, თევზისა და ზოგიერთი სხვა პროდუქტისა და ნაკეთობის წარმოების მხრივ.

ჩვენი ქვეყანა ახლა აწარმოებს მთელი მსოფლიოს სამრეწველო პროდუქციის თითქმის მეხუთედს — უფრო მეტს, ვიდრე ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, კანადა, იაპონია, ბელგია და ნიდერლანდი ერთად. ეს სახელმწიფოები კი მაღალგანვითარებული ქვეყნებია, რომელთა მოსახლეობის საერთო რიცხვი 280 მილიონი კაცია. ჩვენმა ქვეყანამ, რომლის მოსახლეობა 220 მილიონი კაცია, სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობით რომ გაუსწრო მათ, მოწმობს, თუ რა მტკიცედ და სწრაფად მიდის წინ სოციალისტური ეკონომიკა!

ჩვენი საქმეები კარგად მიდის. გვაქვს ყველა შესაძლებლობა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შევასრულოთ შვიდწლიანი გეგმა და ამით უდიდესი წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. მაგრამ ყველა ეს შესაძლებლობა სინამდვილე რომ გახდეს, ამბობდა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, ბევრი უნდა ვიშრომოთ, უფრო კარგად, უფრო გონივრულად გამოვიყენოთ რეზერვები, დაუცხრომლად სრულვყოფდეთ სახალხო მეურნეობის დაგეგმვასა და ხელმძღვანელობას.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში დასახულია უმნიშვნელოვანესი ამოცანები ამ დარგში. „მთავარი, რასაც უნდა მიექცეს ძირითადი ყურადღება, — ნათქვამია მოხსენებაში, — ეს არის შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივ ამაღლება“. ამ ამოცანის შესაბამისად, რომელიც ყრილობამ დაგვისახა, ჩვენს საწარმოებში და მშენებლობებზე უნდა გავშალოთ უფართოესი ლაშქრობა შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის. პარტიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ოპერატიულად უნდა დაუჭირონ მხარი და გაავრცელონ წარმოების მოწინავე ადამიანთა წამოწყება, რომლის მიზანია შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივი ზრდა.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ შემდეგ თქვა, რომ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ჯეროვანი ყურადღება დაეთმო ჩვენს წარმატებებს ტექნიკურ პროგრესში, მაგრამ ამასთან აღნიშნული იყო ისიც, რომ ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი ამოცანაა. მოხსენებაში გაკრიტიკებული იყვნენ ხელმძღვანელები, რომლებიც მიდრეკილებას იჩენენ მოძველებული ტექნიკისადმი. განა ასეთი ფაქტები ჩვენშიც არ არის? ჩვენშიც ხდება ხოლმე მრავალი შემთხვევა, როცა ადგილზე ვტკეპნით, ვუშვებთ მოძველებული კონსტრუქციების მანქანებსა და აპარატებს, ვერ ვამჩნევთ ახალ ტექნიკასა და ახალ მოთხოვნებს.

ტექნიკურ პროგრესში წამყვანი როლი ელექტროფიკაციას ეკუთვნის. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში დასახულია ამოცანა — უფრო სწრაფად ავამოქმედოთ ახალი ენერგეტიკული სიმძლავრენი, გავაძლიეროთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ელექტროფიკაციის ტემპები. საჭიროა უფრო

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

# ᲒᲐᲜᲕᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲗ ᲡᲙᲙᲞ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ

## ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება

(გაგრძელება)

მკაცრი კონტროლი ჩვენი რესპუბლიკის დიდი ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობისადმი.

ნიკიტა სერგის-ძემ საკითხთა საკითხი უწოდა კაპიტალურ მშენებლობას. აღნიშნა რა, რომ ჩვენს ქვეყანაში ახლა უფრო კარგად და უფრო სწრაფად ვაშენებთ, ნიკიტა სერგის-ძე ამასთანავე შეეხო მშენებლობაში არსებულ მრავალ ნაკლს. ცხადია, ყოველივე ეს ჩვენს რესპუბლიკასაც შეეხება, სადაც კაპიტალურ მშენებლობაში ადგილი აქვს ძალებისა და სახსრების დაქსაქსვას და ობიექტების მშენებლობის დამთავრების ვადების გაჭიანურებას.

მეურნეობის სოციალისტური გაძღოლა, ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, მოითხოვს უნარს — ღრმად, საქმის ცოდნით გავუკეთოთ ანალიზი საწარმოს, მშენებლობის, მრეწველობის დარგების საქმიანობის ეკონომიურ მხარეს. ამოცანა ის არის, რომ მნიშვნელოვნად გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების, მოწინავეთა გამოცდილების ფართო დანერგვის, წარმოების მთელი რეზერვების დარაზმვის გზით.

ჩვენ, თქვა ვ. პ. მჟავანაძემ, კანონიერად ვამაყობთ ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის წარმატებებით. მართალია, ეს მებრძოლი, შეკავშირებული კოლექტივია, რომელსაც უნარი შესწევს განახორციელოს დიდი შრომითი საქმეები. მაგრამ ჩვენ გვინდა ვხედავდეთ ამ კოლექტივს ჩვენი ქვეყნის მოწინავე მეტალურგიული ქარხნების პირველ რიგებში. ქარხნის კოლექტივს შეუძლია და კიდევაც უნდა განახორციელოს ეს.

როგორც ცნობილია, ქარხანა ჯერჯერობით არარენტაბელური საწარმოა. მართალია, ამას აქვს თავისი ობიექტური მიზეზები, მაგრამ არის მიზეზებიც, რომელთა აღმოფხვრა მთლიანად დამოკიდებულია ქარხნის კოლექტივზე. ავიღოთ მაგალითად მარტენის ღუმელების მოცდენა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ქარხანამ მიმდინარე წელს ერთგვარად შეამცირა მოცდენა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ საკმარისი როდია. მიმდინარე წლის განვლილ თვეებში ღუმელების მოცდენა საწარმოში შეადგენდა საერთო კალენდარული დროის დაახლოებით 9 პროცენტს, მაშინ როცა საშუალო-საკავშირო ციფრი 8,5 პროცენტია, ხოლო მოწინავე ქარხნებში ეს მაჩვენებელი 6,7 პროცენტს შეადგენს. მეტალურგებმა იციან, თუ რა არის ამ ციფრებს მიღმა. ამ ციფრებს მიღმა დამატებითი ლითონია. მაგალითად, თუ ქარხნის კოლექტივი შეამცირებს მოცდენას წელიწადში თუნდაც სამი პროცენტით და ამით მიუახლოვდება ჩვენი ქვეყნის მოწინავე ქარხნების მაჩვენებლებს, მაშინ საწარმოს შეუძლია მისცეს სამშობლოს ათობით ათასი ტონა ზეგეგმითი ფოლადი, რომლისგანაც შეიძლება მივიღოთ ათასობით ტონა მზა ნაგლინი.

გამოანგარიშებულია, რომ თუ ჩვენი მეტალურგები ყველა მაჩვენებლის მიხედვით მიუახლოვდებიან საბჭოთა კავშირის მოწინავე ქარხნებს, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დოტაცია შეიძლება შემცირდეს დაახლოებით 5 მილიონი მანეთით.

ასეთი მდიდარი რეზერვები, თქვა მომხსენებელმა, სხვა საწარმოებსა და მრეწველობის დარგებშიც არის. ამას უნდა ჩაუფიქრდნენ ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელები, ჩვენი პარტიული ორგანიზაციები.

ჩვენში სერიოზული ნაკლოვანებებია შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულებაშიც. საქმე ეხება არა მარტო გეგმის შესრულების ციფრებს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, შრომის სწორ ორგანიზაციას, მატერიალური და ადამიანთა რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას, ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის დანერგვას, წარმოების ავტომატიზაციასა და მექანიზაციას.

სამწუხაროდ, ჩვენი მეურნეობის ყველა მუშაკი როდი ანიჭებს ჯეროვან მნიშვნელობას ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს. გაანგარიშებანი ცხადყოფენ, რომ თუ ყველა საწარმო და მშენებლობა უზრუნველყოფდა შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულებას, მაშინ ჩვენ შევძლებდით გაგვეთავისუფლებინა სამი ათასზე მეტი მუშა, გამოგვეყენებინა ისინი წარმოების სხვა დარგებში.

ჩვენში არის ელექტროენერგიის ფლანგვის ფაქტები მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში — ტყიბულის ქვანახშირის ტრესტში, რუსთავის მექანიკურ ქარხანაში, ქუთაისის ლითოპონის ქარხანასა და სხვა საწარმოებში. უნდა დავამყაროთ წესრიგი და მკაცრად დავიცვათ ეკონომია.

ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციები ჯერ კიდევ ცოტას ზრუნავენ ისეთი ძვირფასი მასალის მომჭირნეობით ხარჯვისათვის, როგორიც არის ჩვენთვის ცემენტი. მაგალითად, მიმდინარე წლის 10 თვეში, ბეტონის დამზადების დროს გაუმდიდრებელი ქვიშისა და სხვა ინერტული მასალების გამოყენების შედეგად, გადახარჯულია 13 ათას ტონაზე მეტი ცემენტი. ასეთი მდგომარეობის მიზეზად უწინარეს ყოვლისა უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ ინერტული მასალების წარმოების სიმძლავრეთა გადიდებას. საკმარისია ითქვას, რომ მარნეულის ღორღის სამსხვრევი ფაბრიკა უკვე რამდენიმე წელიწადია შენდება. საწარმოს ამუშავება გათვალისწინებული იყო 1959 წელს, შემდეგ 1960, 1961 წელს, ახლა კი გადატანილია 1962 წლისათვის.

განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ინერტული მასალების ამგვარად შემდგომი წარმოება ნიშნავს სერიოზული სიძნელეების შექმნას რესპუბლიკის სამშენებლო საქმის განვითარებისათვის.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სკკპ ახალ პროგრამაში, რომელიც XXII ყრილობამ მიიღო, ზუსტად არის განსაზღვრული პარტიის ამოცანები ეკონომიური მშენებლობის დარგში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და განვითარებაში. პროგრამაში ნათქვამია, რომ პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანაა ორი ათწლეულის განმავლობაში შექმნან კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, ის ამოცანა, რომ გადავაქციოთ სსრ კავშირის მრეწველობა ტექნიკურად ყველაზე სრულყოფილ და მძლავრ მრეწველობად მსოფლიოში, მოითხოვს მძიმე ინდუსტრიის შემდგომ განვითარებას. საბჭოთა კავშირში შექმნილია პირველხარისხოვანი მძიმე ინდუსტრია — ჩვენი ქვეყნის ტექნიკური პროგრესისა და ეკონომიური ძლიერების საფუძველი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც დაუცხრომლად იზრუნებს მძიმე მრეწველობის ზრდისა და მისი ტექნიკური პროგრესისათვის. მძიმე მრეწველობის მთავარი ამოცანა ის არის, რომ მთლიანად უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საჭიროებანი, სახალხო მოხმარების იმ დარგების განვითარება, რომლებიც მოხმარების საგნებს უშვებენ იმ მიზნით, რომ უკეთ და სრულად დაკმაყოფილდეს ხალხის მოთხოვნილებანი, საბჭოთა ადამიანის საარსებო მოთხოვნილებანი, უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარება.

სკკპ პროგრამაში, თქვა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ, განსაზღვრულია მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარების გზები, ხაზგასმულია მათი როლი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

კომუნისტური საზოგადოების ეკონომიკის მშენებლობის ღერძია ელექტროფიკაცია. პარტია მოითხოვს უზრუნველყოფილ იქნას ელექტროენერგიის წარმოების უპირატესი ტემპები. მეორე ათწლეულში მთელი ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია ძირითადად დამთავრდება. შეიქმნება სსრ კავშირის ერთიანი ენერგეტიკული სისტემა. ელექტროენერგიის გამომუშავება საქართველოში 1980 წელს ბევრად გაიზრდება. პირველ ათწლეულში მწყობრში ჩადგება ამიერკავკასიაში უდიდესი ჰიდროელექტროსადგური — ენგურის ჰიდროელექტროსადგური, რომლის გამომუშავება გაუთანაბრდება ჩვენი რესპუბლიკის ყველა მოქმედი ელექტროსადგურის დღევანდელ გამომუშავებას.

სკკპ პროგრამაში აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი უდიდესი ამოცანაა ქიმიური მრეწველობის ყოველი ღონისძიებით განვითარება. ცნობილია, რომ საქართველოში ეს მძიმე ინდუსტრიის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა დარგია. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ზუსტად დავიცვათ ქიმიური მრეწველობის ახალი ობიექტების ამუშავების ვადები, უწინარეს ყოვლისა რუსთავში.

ქიმიურ მრეწველობაში გათვალისწინებულია რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის შემდგომი გაფართოება ბუნებრივი გაზის ბაზაზე, კაპროლაქტამის, სინთეზური ბოჭკოების, კალიუმის პერმანგანატის მანგანუმის აქტიური ორგანგის ახალ საწარმოთა შექმნა და სხვ.

მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური ხელახალი გარდაქმნისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მანქანათმშენებლობის განვითარებას. ჩარხებმა და მანქანებმა, რომლებზეც საქართველოს მარკაა, სახელი გაითქვეს ჩვენს ქვეყანაში და წარმოებს მათი ექსპორტი მსოფლიოს ათობით ქვეყანაში. უკანასკნელ ხანს ქართველ მანქანათმშენებელთა ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება იყო წყალქვეშაფრთებიანი საზღვაო გემის შექმნა. ეს ხომალდი შავი ზღვიდან თავისი სვლით ჩავიდა მოსკოვში პარტიის XXII ყრილობის მუშაობის დღეებში. მაღალი შეფასება დაიმსახურა აგრეთვე ქართულმა ელმავალმა ტ-8, რომელიც დემონსტრირებული იყო მოსკოვში პარტიის XXII ყრილობის მუშაობის დღეებში. უნდა დავაჩქაროთ ახალი სრულყოფილი ჩარხების, მანქანების, აპარატების შექმნა რათა სავსებით დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილებანი.

დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს, ამ მხრივ ყველაფერი რიგზე როდია საწარმოებში. საფეიქრო და სატრიკოტაჟო ნაწარმის მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ აკმაყოფილებს მყიდველთა გაზრდილ მოთხოვნებს. გამომუშავებულ ნაკეთობათა ასორტიმენტი მეტად ღარიბია. მათი ხარისხი მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მოითხოვს. ჯერ კიდევ ბევრია მომხმარებელთა საჩივარი კაპრონის წინდების სწრაფი გაცვეთის, ტრიკოტაჟის ცუდი გარეგნობის, ნაწარმის დაბალი ხარისხისა და მოსაპირკეთებელი მასალების უხეში ნაკეთობის გამო.

როგორც მომხსენებელი ამბობს, სკკპ პროგრამაში აღნიშნულია, რომ საჭიროა ფართოდ განვითარდეს წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, შემდგომ გაიზარდოს სამშენებლო ინდუსტრია და საშენ მასალათა მრეწველობა, დაჩქარდეს ყველა სახეობის ტრანსპორტის განვითარება, საჭიროა მრეწველობის რაციონალური განლაგება და ა. შ. სკკპ პროგრამა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უმნიშვნელოვანესი საყოველთაო-სახალხო ამოცანაა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მაქსიმალური დაჩქარება. ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარება, გადასვლა შრომის ორგანიზაციის უფრო მაღალ საფეხურზე. ამ საფუძველზე განხორციელდება ამჟამად არსებულ საწარმოთა სრულყოფა და მათი განვითარება კომუნისტური საზოგადოების საწარმოებად.

საქართველოს მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკები, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის მრეწველობის მუშაკთა მთელი არმია, უკვე პრაქტიკულად შეუდგნენ სკკპ ახალი პროგრამით დასახული ყველა ამ ამოცანის განხორციელებას. ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება კომუნიზმის მატერიალურ — ტექნიკური ბაზის შექმნის დაჩქარებისათვის. ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ ყოველთვის იყონ მასების ამ ნამდვილად სახალხო მოძრაობის სათავეში.

სკკპ XXII ყრილობაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს. ეს გასაგებიც არის. როგორც ნათქვამია ჩვენი პარტიის პროგრამაში, მძლავრ მრეწველობასთან ერთად აყვავებული, ყოველმხრივ განვითარებული და მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნა კომუნიზმის აშენების სავალდებულო პირობაა.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, ამბობს ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, უაღრესად მკაფიოდ დახასიათებულია სოფლის მეურნეობის ახლანდელი მდგომარეობა. პარტიამ მთელი ხალხის აქტიური მონაწილეობით წარმატებით გადაწყვიტა სოფლის მეურნეობის განვითარების ბევრი ძირეული საკითხი. მომხსენებელს მოჰყავს მრავალრიცხოვანი მაგალითები, ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეულ თვალსაჩინო წარმატებებს. იგი ლაპარაკობს პარტიის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე, რომლებსაც ჭეშმარიტად რევოლუციური მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მთელი სოციალისტური ეკონომიკის განვითარებისათვის, სოფლის მეურნეობის ისეთი სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი პროდუქტების წარმოების განუხრელი ზრდის უზრუნველყოფისათვის, როგორიც არის მარცვლეული, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, შაქრის ჭარხალი, ბამბა, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი, ყურძენი, ჩაი, ციტრუსები და სხვ.

პარტიის XXII ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში მაღალი შეფასება აქვს მიცემული საქართველოში მეჩაიეობის — რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგის განვითარებას. მიმდინარე წლის ამინდის მეტად ცუდი პირობების მიუხედავად, მეჩაიეებმა სამშობლოს მისცეს 154 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი და 107 პროცენტით შეასრულეს წლიური დავალება. ანუ მოკრიფეს დაახლოებით ის რაოდენობა, რომელიც შვიდწლედის საკონტროლო ციფრებით დასახულია 1963 წლისათვის.

ჩაისათვის ბრძოლაში კარგ შედეგებს მიაღწია რესპუბლიკის ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ. მაგრამ, ამბობს ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, მთელი პირდაპირობით უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი როდია გაკეთებული იმ საპატიო ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის, რომ 1965 წელს სამშობლოს მივცეთ 200 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამაში გვარწმუნებს რესპუბლიკის მეჩაიეობის წლევანდელი მდგომარეობის ანალიზი. ეჭვი არ არის, რომ თუ აამოქმედებენ მეჩაიეობის მთელ რეზერვებს, ჩვენი მეჩაიეები უთუოდ შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს.

ზოგიერთ ჩვენს მეურნეობაში ჯერ კიდევ ბევრია არასრულფასოვანი — გამეჩხერებული პლანტაციები, რომლებსაც, თუ აღვადგენთ და კარგად მოვუვლით, შეუძლიათ დამატებით მოგვცენ ასობით ტონა ჩაის ფოთოლი.

საქართველოს ჩაის მეურნეობის წინაშე მდგომი დიდი ამოცანების შესასრულებლად საჭიროა ძირეულად გავაუმჯობესოთ პლანტაციების მოვლა და ავამოქმედოთ მოსავლიანობის ზრდის ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა, საქართველოს მთელი პარტიული ორგანიზაციის, საქართველოს ყველა მშრომელის ღირსების საქმეა აგრეთვე მიაღწიონ იმას, რომ განუხრელად გადიდდეს ისეთი ძვირფასი კვების პროდუქტებისა და სამრეწველო ნედლეულის წარმოება, როგორიც არის ყურძენი, ხილი, ციტრუსები, დაფნა.

საანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXII ყრილობაზე აღინიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელი წლების მანძილზე სხვა პროდუქტებთან ერთად გადიდდა ყურძნისა და ხილის წარმოება და შესყიდვა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით საქმის ვითარებით ჩვენი რესპუბლიკის მევენახეობაში. 1960 წელს საქართველომ ვერ შეასრულა ყურძნის დამზადების გეგმა. მიმდინარე წლის 10 ნოემბრისათვის გეგმით გათვალისწინებული 150 ათასი ტონის ნაცვლად დამზადებულია 134.487 ტონა ყურძენი, ანუ 90 პროცენტი. ყურძნის შესყიდვის გეგმა ვერ შეასრულა გორის, ზესტაფონის, ორჯონიკიძის, მაიაკოვსკის, ვანისა და ზოგიერთმა სხვა რაიონმა.

მთელი რიგი რაიონების ხელმძღვანელები ჩამორჩენას ამინდის ცუდი პირობებით ხსნიან, რაც სრულებით არ არის სწორი. უნდა ვაღიაროთ, რომ ვენახების დაბალი მოსავლიანობის მთავარი მიზეზია დიდი სიმეჩხრე, ცუდი მოვლა, აგროტექნიკის დარღვევა. ბევრ კოლმეურნეობაში ვენახების ცალკეული ნაკვეთები დასარევლიანებულია, ცუდი მოვლის გამო დაზიანებულია დაავადებებით. მთელი რიგი მეურნეობები ვენახებში თესავენ სიმინდს.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის დელეგაციისათვის სკკპ XXII ყრილობაზე სასიამოვნო იყო იმ ცნობის მოსმენა, რომ კახეთის რაიონებმა მიმდინარე წლის ამინდის ცუდ პირობებში კარგი მოსავალი მოიყვანეს და გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა. თელავის, ახმეტის, გურჯაანისა და ყვარლის რაიონებმა სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის არა მარტო თავიანთი დავალებები შეასრულეს, არამედ სიღნაღის, საგარეჯოსა და წითელწყაროს რაიონების დანაკლისიც დაფარეს.

აქვე უნდა ითქვას, რომ გურჯაანის რაიონს შეეძლო მიეყიდა სახელმწიფოსათვის გაცილებით მეტი ყურძენი, პარტიულ ორგანიზაციას თავის დროზე და უფრო ენერგიულად რომ მოეკიდა ხელი საქმისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ალბათ უახლოეს ხანში განიხილავს მევენახეობის მდგომარეობის საკითხს და დასახავს ნაკლოვანებათა გამოსწორების პრაქტიკულ ღონისძიებებს. დროა წესრიგი დავამყაროთ ამ საქმეში, ავამაღლოთ იმ მუშაკების პასუხისმგებლობა, რომლებიც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვან დარგში მუშაობენ.

მომხსენებელი შეეხო საქართველოში მებაღეობის შემდგომი განვითარების საკითხს. წელს რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა ხილის შესყიდვის გეგმა. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ ყველაფერი წესრიგზე როდი გვაქვს. უსაფუძვლოდ ვერ შეასრულეს ხილის შესყიდვის გეგმები გორისა და ცაგერის რაიონებმა, მეტი ხილის ჩაბარება შეეძლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს.

ჩვენმა მებაღეებმა გულმოდგინედ უნდა იმუშაონ, რომ შეასრულონ ახალი ბაღების გაშენების გეგმა. მიმდინარე წლის შემოდგომაზე უნდა გავაშენოთ 2.342 ჰექტარი ხეხილი, ეს კი დიდ დაძაბულ მუშაობასა და პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიურ ყურადღებას მოითხოვს. გარდა ამისა, დიდი მუშაობა უნდა ვაწარმოოთ ბაღების რემონტისა და აღდგენისათვის, რათა უახლოეს ხანში მთლიანად აღმოვფხვრათ სიმეჩხრე.

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმას, რომ საჭიროა მკვეთრად გაუმჯობესდეს მსხმოიარე ბაღების მოვლა-პატრონობა. გორისა და სხვა რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში აგროტექნიკის დაბალი დონის გამო ბაღებში მიღებულია ხილის უმნიშვნელო მოსავალი, ისიც ცუდი ხარისხისა.

მომხსენებელმა ილაპარაკა მეციტრუსეობის ამოცანებზე და ყურადღება მიაქცია იმას, რომ საქართველოს მეციტრუსეებმა უახლოეს წლებში 13 ათას ჰექტარამდე უნდა აიყვანონ პლანტაციების ფართობი, მკვეთრად გაადიდონ მოსავლიანობა და მიჰყიდონ სახელმწიფოს სულ ცოტა 1 მილიარდი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი. ამისათვის საჭიროა აღმოვფხვრათ არსებული ნარგავების სიმეჩხრე და გავაშენოთ ახალი ბაღები. პლანტაციების რემონტისა და ახალი ბაღების გაშენებისათვის კარგად მოემზადნენ აჭარის ასსრ, მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონების მეურნეობანი. მაგრამ ზოგიერთი რაიონი ჩამორჩება ამ საქმეში. აფხაზეთისა და მთელი რიგი ჩამორჩენილი რაიონების ხელმძღვანელმა მუშაკებმა შესაბამისი დასკვნები უნდა გამოიტანონ და მიაღწიონ გარდატეხას მეციტრუსეობის განვითარებაში.

წელს საქართველოს მეციტრუსეებმა უხვი მოსავალი მოიყვანეს. ისინი უკვე შეუდგნენ ნაყოფის კრეფას. მოსალოდნელია მნიშვნელოვნად უფრო მეტი მოსავალი შარშანდელთან შედარებით. დროზე და უდანაკარგოდ ავიღოთ იგი, შევასრულოთ გეგმა — აი რა არის ახლა მთავარი მეციტრუსეობის მეურნეობათა მუშაობაში.

როგორც თქვენთვის ცნობილია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1961 წ.) პლენუმმა დაგმო გულგრილობა და გულდაჯერებულობა, ყურადღების შესუსტება სოფლის მეურნეობისადმი მთელ რიგ ოლქებსა და რესპუბლიკებში. ამ ნაკლოვანებათა შედეგად სოფლის მეურნეობის პროდუქტების — მარცვლის, ხორცის, რძის წარმოების ზრდის ტემპი 1959-1960 წლებში შემცირდა და ჩამორჩება შვიდწლედის დავალებებს. პარტიის XXII ყრილობამ სავსებით მოიწონა ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებული კონკრეტული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის. როგორც მიმდინარე წლის წინასწარი შედეგები ცხადყოფენ, ამ ღონისძიებებს დადებითი შედეგები მოჰყვა. საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, მაგალითად, გაადიდეს მარცვლის, ხილის, ყურძნის, დაფნისა და სხვა კულტურების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. მაგრამ სოფლის მეურნეობის პროდუქტების, განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქტების, წარმოების ზრდის ტემპი ჯერ კიდევ არ შეესაბამება საჭირო დონეს.

ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ მარცვლეულის მეურნეობა. თუ გვექნება დიდი მარცვლეულის მეურნეობა, მაშასადამე, გვექნება ხორციც, კარაქიცა და რძეც. მიუხედავად ამისა, ჩვენ საკმარისად არ ვიყენებთ მდიდარ შესაძლებლობებს.

საანგარიშო მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისადმი, შენიშნა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ, ჩვენი რესპუბლიკა მოხსენიებულია სიმინდის მოვლა-მოყვანის ყველაზე ხელსაყრელ რაიონთა შორის, სადაც დიდ ფართობებზე შეიძლება მივიღოთ 50 ცენტნერი ხმელი მარცვალი ჰექტარზე. ეს ცხადყვეს ჩვენმა მოწინავე მესიმინდეებმა, მოწინავე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. სიმინდის მოვლა-მოყვანისათვის განსაკუთრებით კარგად იმუშავა ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ მიმდინარე წელს. მათი მაგალითი მოწმობს, რომ სიმინდის უხვი მოსავალი შეიძლება მივიღოთ რესპუბლიკის ყველა რაიონში. ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ სიმინდის მოსავლიანობის მკვეთრი აღმავლობა ჩვენი რესპუბლიკის ყველა ფართობზე. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა რაიონმა, კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, ბრიგადამ და რგოლმა გამოავლინოს მაქსიმალური უნარი და უეჭველად შეასრულოს გადიდებული ვალდებულებანი, რომლებიც წლის დამდეგს იკისრეს.

დიდი ამოცანებია დასახული სოფლის მეურნეობის წინაშე პარკოსანი კულტურების ნათესების გაფართოების დარგში და წარმოებაში მათი ფართო დანერგვისათვის. ამასთან ჩვენს რესპუბლიკაში სავსებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. მარცვლის მთლიანი მოსავლის გადიდებისა და საკვები ბაზის გაფართოების ისეთი დიდმნიშვნელოვანი წყაროს მიმართ, როგორიც არის სამარცვლე პარკოსნები — ბარდა, ცერცვი, სოია, ლობიო, ცულისპირა, ცერცველა, ხანჭკოლა.

მოწინავეთა გამოცდილებით დადასტურებულია, რომ სწორი აგროტექნიკის განხორციელების პირობებში პარკოსანი კულტურები იძლევიან ცილოვანი მარცვლის უხვ მოსავალს სასურსათო მიზნებისათვის და კონცენტრირებულ საკვებს — პირუტყვისათვის. მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პარკოსანი კულტურების მოსავლიანობა ხშირად აღემატება ხორბლისა და ქერის მოსავლიანობას, ხოლო მწვანე მასის მოსავლიანობა აღწევს 300-400 ცენტნერს ჰექტარზე.

პარკოსანი კულტურების ნათესების გაფართოებისა და მათი უხვი მოსავლის მიღებისათვის საჭიროა მიმდინარე წლის შემოდგომაზე და 1962 წლის გაზაფხულზე დასათესად მთლიანად გამოვიყენოთ თესლის მთელი მარაგი, მაღალხარისხოვნად და დროულად განვახორციელოთ აგროტექნიკური ღონისძიებანი, ამასთან მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ბარდის, ცერცვის, ცულისპირას, ხანჭკოლასა და სხვა პარკოსანი კულტურების მარცვლის მოსავალი ძირითადად უნდა გამოვიყენოთ ამ კულტურების ნათესების გასაფართოებლად შემდგომ წლებში.

სოფლის მეურნეობის დარგში გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ სრულვყოთ ნათესი ფართობების სტრუქტურა, გაბედულად შევცვალოთ მცირემოსავლიანი კულტურები უხვმოსავლიანით, დავამკვიდროთ სწორი თესლბრუნვები, ფართოდ დავნერგოთ მოწინავე გამოცდილება და მეცნიერების მიღწევები.

კულტურების სწორმა მონაცვლეობამ და თანაფარდობამ უნდა უზრუნველყოს უხვი მოსავლის მიღება არა მარტო ცალკეულ მეურნეობებში, არამედ დიდ მასივებზეც, ამასთან მნიშვნელოვნად შეამციროს შრომისა და სახსრების დანახარჯები.

ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ჩამორჩება ხორცისა და რძის წარმოების ზრდის ტემპი. არასახარბიელო მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენშიც. უნდა ვაღიაროთ, რომ მეცხოველეობის მდგომარეობა რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არადამაკმაყოფილებელია, ბევრმა მათგანმა ვერ გაუძლო საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის ზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის აღებულ ტემპს. მეტწილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბევრად შემცირდა წველადობა.

რაიონების ზოგიერთი ხელმძღვანელი თავის ცუდ ორგანიზატორულ მუშაობას ძლიერი გვალვით ამართლებს. ეს სრულებით არ არის სწორი. როგორც ცნობილია, მიმდინარე წელს საკვებითა და საძოვრებით პირუტყვის უზრუნველყოფის მხრივ ყველაზე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა წითელწყაროს რაიონში. მიუხედავად ამისა, ამ რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეინარჩუნეს პირუტყვის სულადობა და ხორცისა და რძის წარმოება თითქმის გასული წლის დონეზე, მაშინ როცა, გორისა და ცხაკაიას რაიონებში, სადაც მიმდინარე წელს კარგი ამინდის პირობები იყო, მკვეთრად შეამცირეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. რით უნდა გაიმართლონ თავი იმ რაიონების ხელმძღვანელებმა, სადაც მიმდინარე წელს ნორმალური ამინდის პირობები იყო, მაგრამ მათ, მიუხედავად ამისა, შეამცირეს ღორების სულადობა და მათი გასუქება. რასაკვირველია, ამას ცუდი მუშაობის გარდა ვერაფრით ვერ ახსნით.

უნდა უკუვაგდოთ ის აზრი, რომ საქართველოში არ არის პირობები მეცხოველეობის განვითარებისათვის. თუ სპეციალისტები შემოქმედებითად მიუდგებიან მიწის გამოყენებას, ჩვენ შეგვიძლია სწრაფად შევქმნათ მტკიცე საკვები ბაზა. დასავლეთ საქართველოს რაიონებში შეიძლება ვაწარმოოთ კულტურების მონაცვლეობა: ბარდა-სიმინდი-ბარდა და მივიღოთ დიდძალი მწვანე მასა და მარცვალი.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებმა, როგორც ჩანს, დაივიწყეს, რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდება სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე საარსებო და დიდმნიშვნელოვანი საკითხია.

მიმდინარე წელს შეიქმნა დამზადებათა სამინისტრო. დამამზადებელი ორგანოების მუშაკები მნიშვნელოვან მუშაობას ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესასყიდად. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ დამზადების მხრივ ჩვენ ყველაფერი კარგად როდი გვაქვს. ჯერჯერობით, როგორც ცნობილია, შესრულებულია მხოლოდ ჩაის ფოთლის, ხილისა და დაფნის შესყიდვის გეგმები. ჩამორჩენა გვაქვს მეცხოველეობის პროდუქტებისა და სიმინდის შესყიდვაში.

პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი, საბრძოლო ამოცანაა განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ტემპის მკვეთრი გაძლიერებისათვის და უზრუნველყონ გადამწყვეტი გარდატეხა ამ საქმეში.

მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა დიდებულ პერსპექტივებს, რომლებიც სკკპ პროგრამამ დასახა სოფლის მეურნეობის დარგში. პარტია ახდენს სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების მძლავრ აღმავლობას, რაც საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ ორი ძირითადი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ამოცანა: მივაღწიოთ მაღალხარისხოვანი კვების პროდუქტების სიუხვეს მოსახლეობისათვის და ნედლეულისა — მრეწველობისათვის, უზრუნველვყოთ საბჭოთა სოფლის თანდათანობით გადასვლა კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, აღმოვფხვრათ ძირითადი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის.

სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციით ჩვენი ქვეყნის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მთავარ გზად პარტიას მიაჩნია ყოველმხრივი მექანიზაცია და თანამიმდევრული ინტენსიფიკაცია. მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების საფუძველზე უნდა მივაღწიოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მაღალ კულტურას ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. მკვეთრად უნდა გავადიდოთ ყველა კულტურის მოსავლიანობა და გავზარდოთ პროდუქციის გამოსავლიანობა ყოველ ჰექტარზე შრომისა და სახსრების უმცირესი დანახარჯებით. ამ საფუძველზე საჭიროა მივაღწიოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის განუწყვეტელ ზრდას საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაბამისად.

მომხსენებელმა შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ოდენობის გადიდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტია მეცნიერების მიღწევებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეების — ჩვენი შესანიშნავი შუქურების შრომის პროგრესული მეთოდების პროპაგანდის გაძლიერება. ავიღოთ თუნდაც მეჩაიეობა. თუ საშუალოდ რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის მოსავლიანობა დაახლოებით სამ ტონას შეადგენს, მოსავლელად მიჩნეულ ნაკვეთებზე ჩვენს სახელმოხვეჭილ მეჩაიეებს ტატიანა ჩხაიძეს, თამარ ყუფუნიას, ტატიანა ტყებუჩავას, ლეილა მაღლაკელიძეს, იზოლდა წოწონავას, მერი ქარდავას, ციალა ყოლბაიას, გული ავაძეს, მაყვალა ჯინჭარაძეს და ბევრ სხვას ჰექტარზე გადაანგარიშებით მოჰყავთ 10-15 ტონა და უფრო მეტი ხარისხოვანი ნედლეული.

ასეთი შუქურები მეჩაიეობის ყოველ რაიონში არიან და თვითეული მათგანის გამოცდილება პლანტაციების ყველა მშრომელის კუთვნილება უნდა გავხადოთ. მთელ რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდებას რომ მივაღწევდეთ, მაშინ საბჭოური წარმოების ჩაით ჩვენი ქვეყნის უზრუნველყოფის პრობლემა შეიძლება გადავჭრათ ისე, რომ მნიშვნელოვნად არ გავადიდოთ ჩაის პლანტაციების ფართობები.

უდიდესი შესაძლებლობანი მოგვეპოვება მემინდვრეობაშიც. დიდი სიმინდისათვის ბრძოლას ღირსეულად აწარმოებენ ჩვენი მინდვრების მშრომელნი. მათ შორის ბევრი შუქურაა. საქართველოში ვინ არ იცნობს მიხეილ გურაბანიძეს, კოტე სანდუხაძეს, კალისტე ანდღულაძეს, რიზო კაჭარავას, კოსტა ჯოჯუასა და ასობით სხვა სახელმოხვეჭილ მესიმინდეს?

სწორი არ არის, როცა განსხვავება საშუალო-საკოლმეურნეო, საშუალო-რაიონულ მაჩვენებლებსა და ცალკეულ მოწინავეთა მაჩვენებლებს შორის. უნდა შევამციროთ ეს განსხვავება კარგად დაყენებული პროპაგანდის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში ჩვენი შუქურების გამოცდილების ფართოდ დანერგვის გზით.

მარცვლის საერთო მოსავლის გადიდება უნდა უზრუნველვყოთ როგორც მოსავლიანობის გადიდების გზით, ისე რესპუბლიკაში არსებული რეზერვების გამოყენების გზითაც. ასეთი რეზერვებია რომელთა გამოყენება უშუალოდ სკკპ პროგრამამ გვიკარნახა, ადრე გამოუყენებელი მიწების მელიორაცია და ათვისება.

მომხსენებელი შეეხო ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის კადრების მომზადებასა და გადამზადებასთან. ჩვენში ბევრია კოლმეურნეობის თავმჯდომარე, უფრო მეტი ბრიგადირი, ფერმის გამგე, რომლებსაც არა აქვთ არათუ სპეციალური უმაღლესი, არამედ საშუალო სპეციალური განათლებაც კი, მაშინ როცა უკვე დღეს ძნელია კარგად უხელმძღვანელო კოლმეურნეობას, ბრიგადას, ან ფერმას, თუ არა გაქვს სპეციალური ცოდნა.

მიმდინარე წლის ამინდის პირობები, აღნიშნა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ, უაღრესად არახელსაყრელად წარიმართა. მეცხოველეობაში მოგველის განსაკუთრებით ძნელი გამოზამთრება. დაგვჭირდება ძალების დიდი დაძაბვა, რათა უზრუნველვყოთ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრება. საკვების დამზადების წინასწარი მონაცემები ცხადყოფენ, რომ მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიმდინარე წელს სრულად ვერ გამოიყენეს საკვების წარმოებისა და დაგროვების არსებული რეზერვები. გადაჭრით უნდა მოვუღოთ ბოლო სიმინდის ჩალის შეუფასებლობის მავნე პრაქტიკას. ზოგიერთ რაიონში ვხვდებით არასწორ ტენდენციას — მოუჭრელს ტოვებენ ამ ძვირფას საკვებს ან მაღლა ჭრიან სიმინდს. უნდა გამოვიყენოთ საკვების დამზადების მთელი რესურსები.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი პარტია, ლენინური ცენტრალური კომიტეტი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ უახლოეს ხანში მკვეთრად გაიზარდოს მარცვლის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოება. საბჭოთა ხალხმა უკვე 1962 წელს უნდა შეიგრძნოს სოფლის მეურნეობის დარგში იმ ღონისძიებათა განხორციელების რეალური ნაყოფი, რომლებიც პარტიის XXII ყრილობამ დასახა.

როგორც პრესიდან იცით, პარტიის XXII ყრილობის დამთავრებისთანავე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა კრემლის ყრილობათა სასახლეში მოიწვია თათბირი სოფლის მეურნეობის საკითხებზე, რომელზეც სოფლის მეურნეობის დარგში კონკრეტული ამოცანებისადმი მიძღვნილი სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა. ამხანაგმა ხრუშჩოვმა დააყენა მთელი რიგი საკითხები, რომელთა გადაჭრას ახლა უნდა მოხმარდეს ძირითადად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ღონისძიებანი.

წარმატებით რომ შევასრულოთ სოფლის მეურნეობის დარგში დასახული დიდი გეგმები, რომ შევქმნათ პროდუქტების სიუხვე ჩვენს ქვეყანაში, საჭიროა მასობრივი შრომითი გმირობა და ყოველდღიური მუშაობა. სწორედ ასეთი მუშაობა წყვეტს ახლა სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებს, ამ მუშაობაზეა დამოკიდებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცება.

აი რატომ არის, რომ ყოველი დღე, ყოველი საათი უნდა გამოვიყენოთ, რათა წარმატებით დავამთავროთ მოსავლის აღება, საშემოდგომო თესვა, მთლიანად დავამზადოთ საკვები, მოვამზადოთ ნიადაგი საგაზაფხულო კულტურებისათვის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მომავალი წლის საფუძველი დღეს იქმნება.

— ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ განაგრძო მოხსენება და თქვა: მთავარი, რაც XXII ყრილობის ცენტრში იყო — ეს არის მშრომელი ადამიანი, მისი ძირეული საარსებო ინტერესები. ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის — კომუნიზმის დროშაზე წარწერილი. ეს დევიზი უპირისპირდება კაპიტალიზმის კაცთმოძულეობის კანონს, რომლის არსი ის არის, რომ ყველაფერი გამოსწოვოს ადამიანს.

არა წარმოება წარმოებისათვის, არამედ წარმოება ადამიანისათვის — ასეთია კომუნისტური პარტიის საქმიანობის წმიდათა-წმიდა პრინციპი. მომხსენებელმა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესება დაასურათა კონკრეტული ფაქტებით, მაგალითებით, ილაპარაკა პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებებზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ აღნიშნა, რომ XX და XXII ყრილობებს შორის პერიოდი ხასიათდებოდა აგრეთვე საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის შესანიშნავი მიღწევებით, საბჭოთა საზოგადოება მსოფლიოში ყველაზე განათლებული გახდა. კაცობრიობის მეცნიერული ცოდნის განვითარებაში ახალ ბრწყინვალე ეპოქას მისცა დასაბამი საბჭოთა კავშირის გამარჯვებებმა კოსმოსის ათვისებაში, ისტორიაში პირველი კოსმონავტების იური გაგარინისა და გერმან ტიტოვის უმაგალითო გაფრენებმა.

საბჭოთა მეცნიერებმა მოიპოვეს შესანიშნავი წარმატებანი მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენებაში, კიბერნეტიკასა და სწრაფმოქმედი გამოსათვლელი მანქანების შექმნაში, პოლიმერების ქიმიაში, ავტომატიკისა და ტელემექანიკის, რადიოტექნიკის, ელექტრონიკის განვითარებაში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა სფეროებში.

XXII ყრილობამ მოიწონა ღონისძიებანი, რომლებიც პარტიამ განახორციელა ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისათვის, სკოლა-ინტერნატების, გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების შექმნისათვის, დაუსწრებელი და საღამოს სწავლების სისტემის განვითარებისათვის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადებისათვის.

კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდა სკოლის წინაშე ახალ დიდ ამოცანებს სახავს. სკოლა არ უნდა ჩამორჩეს თანამედროვე მეცნიერების სწრაფ განვითარებას. საბოლოოდ უნდა აღმოვფხვრათ მეცადინეობის მრავალცვლიანობა სკოლებში, სადაც 1965 წელს 43 მილიონამდე ბავშვი ისწავლის.

ამ ამოცანის გადასაჭრელად ჩვენ, თქვენთან ერთად, ამხანაგებო, ბევრი რამ განვახორციელეთ წელს, მაგრამ უფრო მეტი უნდა განვახორციელოთ გაისადაც, როცა მთლიანად უნდა გადავჭრათ ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადასვლის ამოცანა. სასწავლო წლის დაწყების შემდეგ კი სასკოლო შენობების მშენებლობის ტემპები კვლავ შენელდა, და ამას არ უნდა შევურიგდეთ.

ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საკითხებს. საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ თავიანთი იდეური შინაარსის სიმდიდრით მაღალი ავტორიტეტი მოიხვეჭეს მთელ მსოფლიოში.

ყრილობამ მხურვალედ მოიწონა სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განუხრელი სრულყოფის ლენინური კურსი, რომელიც შემუშავებულია ჩვენი პარტიის პროგრამაში, სოციალისტური საკუთრების საერთო-სახალხო და საკოლმეურნეო-კოოპერაციული ფორმების შემდგომი განმტკიცებისა და დაახლოების, მატერიალური დაინტერესების პრინციპის თანმიმდევრული განხორციელების, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების, საბჭოთა სოციალისტური ერების კულტურათა დაახლოებისა და ყოველმხრივი ურთიერთ გამდიდრების, ჩვენი საზოგადოების მორალური და პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებისა და საბჭოთა ადამიანების შრომაში, ყოფაცხოვრებაში, შეგნებაში კომუნისტური საწყისების აქტიური ჩამოყალიბების კურსი.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის ყველა მხარის პროგრესის შედეგად ქრება განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, საბჭოთა საზოგადოების კლასებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის.

იზრდება და მტკიცდება კომუნისტური საწყისები მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ურთიერთობაში, მიმდინარეობს გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის პროცესი.

პროლეტარული დემოკრატია საყოველთაო-სახალხო დემოკრატიად იქცევა. ათეულ მილიონობით ადამიანი მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის საქმეების მართვაში საბჭოებში, მუდმივ კომისიებში, კოოპერაციაში, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ჩვენს რესპუბლიკაში ფართო განვითარება ჰპოვეს საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილმა განყოფილებებმა საბჭოების აღმასკომებში, პარტიულ კომიტეტებში, გაზეთების რედაქციებში, ქუჩისა და სახლის კომიტეტებმა, რომლებიც მომავალი კომუნისტური თვითმმართველობის ორგანოების პირველსახეს წარმოადგენენ.

ჩვენ უკვე მივუახლოვდით ვ. ი. ლენინის მიერ წამოყენებული იმ ამოცანის განხორციელებას, რომ უკლებლივ ყველა მოქალაქე უნდა მონაწილეობდეს სახელმწიფო ფუნქციების შესრულებაში.

— პარტიის XXII ყრილობამ, — თქვა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ, — ცხადყო ჩვენი ლენინური პარტიის მონოლითური ერთიანობა და შეკავშირება, მისი ერთსულოვნება. როგორც ცნობილია, XXII ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო სტალინის პიროვნების კულტის მავნე შედეგების დაგმობას და მოლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვისა და სხვათა ანტიპარტიული ფრაქციული ჯგუფის საბოლოო მხილებას. ამ დიდმა პირდაპირმა და პრინციპულმა საუბარმა კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი რიგები, უფრო მჭიდროდ შეაკავშირა ლენინელთა პარტია.

ყრილობაზე მოყვანილმა ფაქტებმა თვალნათლივ [illegible] დურებამ [illegible] პარტიას, ხალხს და ჩვენს ქვეყანას [illegible] მოქმედებამ [illegible] ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით განახორციელა ფრაქციული ანტიპარტიული ჯგუფის მხილებისა და საბოლოო განადგურებისათვის.

როცა მხილებულ იქნა დაუძინებელი მტერი და ავანტიურისტი ბერია, გამომჟღავნდა სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, მრავალი პატიოსანი ადამიანის წინააღმდეგ, მათ შორის პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეთა წინააღმდეგ თვითნებობისა და რეპრესიების ფაქტები.

ფაქტები ცხადყოფენ, რომ თავისი პიროვნების კულტის ვითარებაში სტალინმა შინაპარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმად აქცია პარტიული და საბჭოთა დემოკრატიის შეზღუდვები, უშვებდა თვითნებობას, რის შედეგადაც დაიღუპა ათასობით უდანაშაულო ადამიანი, ბევრი პარტიული, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. ახლა უკვე დადასტურებულია, რომ როგორც 1935-1937 წლების რეპრესიები, ისე ომისშემდგომი პერიოდის — 1949-1950 წლების რეპრესიები განხორციელდა ან სტალინის პირდაპირი მითითებით, ან მისი ნებართვითა და მოწონებით.

მაგალითად, საკმარისი იყო ჰიტლერელთა დაზვერვას შემოეგზავნა შეთითხნილი ყალბი დოკუმენტი იმის შესახებ, რომ ჩვენი თვალსაჩინო მხედართმთავრები ტუხაჩევსკი, იაკირი და სხვები თითქოს გერმანიის გენერალური შტაბის აგენტები იყვნენ, რომ ისინი დააპატიმრებინათ და შემდეგ მოესპოთ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. შელეპინმა თავის გამოსვლაში ყრილობაზე მოიყვანა შემაძრწუნებელი ფაქტები, თუ როგორ უკანონოდ და მასობრივად უსწორდებოდნენ ანგარიშს და ფიზიკურად სპობდნენ ჩვენი სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეებს, რომლებიც სასურველი არ იყვნენ სტალინისა და მასთან დაახლოებული მოლოტოვისა და კაგანოვიჩისათვის.

უდანაშაულოდ დახვრეტილთა და სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებულთა შორის შეიძლება დავასახელოთ პარტიისა და სახელმწიფოს ისეთი დიდი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ პოსტიშევი, კოსიორი, ეიხე, რუძუტაკი, ჩუბარი, ვოზნესენსკი, კრილენკო, უნშლიხტი, ბუბნოვი და ბევრი სხვა.

თვითნებობისა და უკანონობის შედეგად დიდი დანაკლისი განიცადა საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამაც. უდანაშაულოდ დაღუპულთა შორის შეიძლება დავასახელოთ ისეთი თვალსაჩინო მოღვაწეები, როგორიც იყვნენ მამია ორახელაშვილი, მიხა კახიანი, შალვა ელიავა, ლევან ღოღობერიძე, სოსო ბუაჩიძე, ნესტორ ლაკობა, ლავრენტი ქართველიშვილი და ბევრი სხვა, რომლებიც სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებული არიან.

გარდა ამისა, რამდენი თვალსაჩინო მწერალი, პოეტი, მხატვარი, მეცნიერი და ინჟინერი დაიღუპა საქართველოში, რომლებიც რაიმე, კანონიერი საფუძვლის უქონლად, ყალბი ბრალდებებით რეპრესირებულ, წამებულ, გადასახლებულ ან დახვრეტილ იქნენ ავანტიურისტ ბერიასა და მისი დამქაშების მიერ.

უდანაშაულოდ დააპატიმრეს და დახვრიტეს სერგო ორჯონიკიძის ძმა. უდანაშაულოდ დაიღუპა ძველი ბოლშევიკი, სტალინის პირველი ცოლის ძმა ალიოშა სვანიძე. ბერიამ ისე წარმოადგინა საქმე, თითქოს სვანიძე გერმანიის დაზვერვამ მიუჩინა სტალინს.

ლენინის ერთგულმა მოწაფემ სერგო ორჯონიკიძემ, რათა არ გაეზიარებინა სტალინთან ერთად პასუხისმგებლობა მის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისათვის, თავი მოიკლა.

პარტიის XX ყრილობაზე გამოქვეყნდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის წერილი, რომელიც მან მისწერა 1922 წელს პარტიის მორიგ ყრილობას. ამ წერილში ილიჩმა განაცხადა:

„ამხ. სტალინმა, გენერალური მდივანი რომ გახდა, მთლიანად თავის ხელში აიღო უსაზღვრო ძალაუფლება, და მე დარწმუნებული არა ვარ, შეძლებს თუ არა იგი ყოველთვის საკმაოდ ფრთხილად გამოიყენოს ეს ძალაუფლება... სტალინი ერთობ უხეშია, და ეს ნაკლი, რომელიც სავსებით ასატანია ჩვენს კომუნისტების წრეში და ურთიერთობაში, აუტანელი ხდება გენერალური მდივნის თანამდებობაზე. ამიტომ მე წინადადებით მივმართავ ამხანაგებს, მოიფიქრონ ამ ადგილიდან სტალინის სხვაგან გადაყვანის საშუალება და დანიშნონ ამ ადგილზე სხვა ადამიანი, რომელიც ყველა სხვა მხრივ განსხვავდება ამხ. სტალინისაგან მხოლოდ ერთი უპირატესობით, სახელდობრ, უფრო შემწყნარებელია, უფრო ლოიალურია, უფრო თავაზიანი და უფრო ყურადღებიანია ამხანაგებისადმი, ნაკლებ ჭირვეულია და ა. შ.".

ლენინის გაფრთხილება არ იქნა გათვალისწინებული და მისი წინასწარხედვა დადასტურდა.

პარტიის XX ყრილობამ დაგმო მარქსიზმ-ლენინიზმისადმი უცხო პიროვნების კულტი. ყრილობის გადაწყვეტილებათა მიზანი იყო პიროვნების კულტის სრული დაძლევა, პარტიული, სახელმწიფოებრივი და იდეოლოგიური მუშაობის ყველა დარგში მისი შედეგების ლიკვიდაცია, მტკიცედ განხორციელება პარტიული ცხოვრების ნორმებისა და ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპისა, რომლებიც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა შეიმუშავა. მთელმა პარტიამ, მთელმა ჩვენმა ქვეყანამ მხურვალედ მოიწონეს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი, მისი ლენინური კურსი.

XX ყრილობის შემდეგ ადამიანებმა უფრო შემოქმედებითად და შთაგონებით იწყეს მუშაობა, ჩვენს ქვეყანაში უმაგალითო პოლიტიკური აღმავლობა სუფევს. ახლა ადამიანები უშიშრად გამოდიან, გაბედულად ლაპარაკობენ, რასაც ფიქრობენ, ამხილებენ ნაკლოვანებებს და არ ეშინიათ, რომ მათ მტრულ საქმიანობას დააბრალებენ და რეპრესიებს გამოიყენებენ.

პარტიის XX ყრილობის შემდეგ ფართო ასპარეზი დაისახა ჩვენი ქვეყნის დაჩქარებული წინსვლისათვის კომუნიზმის გზით. სახალხო ინიციატივის ათასობით წყარომ ამოხეთქა. შემთხვევითი როდია, რომ XX ყრილობის შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ მოკლე ვადაში შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა, გაიზარდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი.

პარტიამ დაძლია გააფთრებული წინააღმდეგობა ანტიპარტიული ელემენტებისა, იმ მეთოდების და წესების მომხრეებისა, რომლებიც გაბატონებული იყო პიროვნების კულტის დროს, საზიზღარი რევიზიონისტებისა და დოგმატიკოსებისა.

XXII ყრილობაზე მხილებული ფაქტები დამაჯერებლად მოწმობენ, რომ მო-

(დასასრული მე-8 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისტორიული გადაწყვეტილებანი!

(დასასრული)

ლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვისა და სხვათა ფრაქციული ანტიპარტიული ჯგუფი იმიტომ გამოვიდა ასე გაფთრებით პარტიის ხაზის—პიროვნების კულტის დაგმობის ხაზის—წინააღმდეგ, რომ ამ ჯგუფიდან თვითეულს ეკისრებოდა პერსონალური პასუხისმგებლობა მასობრივი რეპრესიებისათვის, კადრების უკანონოდ ჟლეტისათვის.

უკვე პარტიის XX ყრილობის მერე და შემდეგშიც მოლოტოვი ამართლებდა სტალინის მოქმედებას. იგი ცინიკურად აცხადებდა, რომ დიდ საქმეებში არის ცუდიც და კარგიც, იგი წინასწარმეტყველებდა, რომ პატიოსანი ადამიანებისათვის ამგვარი ანგარიშის გასწორება შეიძლება გამეორდეს. ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ფრაქციული ჯგუფის მიერ განზრახული დანაშაულებრივი ავანტიურა წარმატებით რომ დამთავრებულიყო, კვლავ განახლდებოდა მთელი პარტიის მიერ დაგმობილი პიროვნების კულტის პერიოდის მანკიერი მეთოდები. მოლოტოვი, კაგანოვიჩი და მალენკოვი, როგორც წინათ, დაიწყებდნენ მათთვის არასასურველი ადამიანებისათვის ანგარიშის გასწორებას და ერთი კალმის მოსმით მიუსჯიდნენ მათ დახვრეტას.

ანტიპარტიული ჯგუფის ზოგიერთ წევრისა და, უწინარეს ყოვლისა მოლოტოვს, დღემდე არ გამოუტანია საჭირო დასკვნები იქიდან, რომ მათი მოქმედება მკაცრად დაგმო მთელმა პარტიამ, მთელმა ხალხმა. მოლოტოვი დღემდე ორპირობს, ანტიპარტიული პოზიცია უჭირავს. იგი იქამდე მივიდა, რომ წერილში ცენტრალური კომიტეტის სახელზე სკკპ ახალი პროგრამა დაახასიათა როგორც თავისი სულისკვეთებით ანტირევოლუციური.

გამოდის რა პარტიის ახალი პროგრამის ძირითადი დებულებების წინააღმდეგ, რომლებსაც საფუძვლად უდევს ლენინის უმნიშვნელოვანესი მითითებანი, მოლოტოვი წყვეტს კავშირს დიად ლენინურ მოძღვრებასთან. სავსებით სწორია, რომ მოლოტოვმა, მალენკოვმა და კაგანოვიჩმა მთელი თავიანთი ანტიპარტიული დანაშაულებრივი მოქმედებისათვის პერსონალურად უნდა აგონ პასუხი პარტიის წინაშე. გამთიშველებს, ორპირებს, კარიერისტებს და, ბოლოს, მკვლელებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ პარტიაში!

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ XXII ყრილობაზე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პრინციპულად და აშკარად მოახსენა დელეგატებს საბჭოთა კავშირ-ალბანეთის ურთიერთობის არანორმალური მდგომარეობის შესახებ. ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელები ამ ბოლო დროს დაადგნენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ ბრძოლის გზას. ისინი გამოდიან ჩვენი პარტიის მიერ სტალინის პიროვნების კულტისა და მისი მავნე შედეგების გადაჭრით დაგმობის წინააღმდეგ.

ახლა უკვე საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელები მეჰმეტ შეჰუ და ენვერ ხოჯა ძალადობით და თვითნებობით არიან ხელისუფლების სათავეში. ალბანეთის შრომის პარტიაში ხელმძღვანელობისათვის არასასურველი ყოველი ადამიანის წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს იყენებენ. ბევრი ალბანელი კომუნისტი, რომლებიც ქმნიდნენ პარტიას, იბრძოდნენ იტალიელი და გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ, სისხლიან ბოროტმოქმედებათა მსხვერპლი გახდა.

ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელთა მოქმედება თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად გვიჩვენებს, რა შეიძლება მოჰყვეს პიროვნების კულტის რეციდივებს, პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების დარღვევას, პარტიასა და სახელმწიფოში ანტიდემოკრატიული წესების დანერგვას.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი სწორად, ლენინურად მოიქცა, როცა ყრილობაზე თქვა მთელი სიმართლე ალბანეთის პარტიის ხელმძღვანელობის გამთიშველობის შესახებ.

ყრილობის დელეგატებმა, მოძმე პარტიების წარმომადგენლებმა ყრილობაზე დაუჭირეს მხარი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკას.

ალბანელ ხელმძღვანელთა მანკიერი პოზიციის მხილება ხელს შეუწყობს კომუნისტური მოძრაობის კიდევ უფრო განმტკიცებას, სოციალისტური ბანაკის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას იმპერიალიზმის აგრესიული ძალების წინაშე.

ჩვენი პარტია ილაშქრებდა და კვლავაც გაილაშქრებს, შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს რევიზიონიზმისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ, მარქსიზმ-ლენინიზმისაგან ყოველგვარი გადახვევის წინააღმდეგ, მისი რევოლუციური სიწმინდისათვის.

პარტიის XXII ყრილობამ, ამბობს ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, გადამწყვეტი ღონისძიებანი განახორციელა პიროვნების კულტის საბოლოო დაძლევისათვის, მომავალში მისი გამეორების ყოველგვარი შესაძლებლობის თავიდან აცილებისათვის.

პოლიტიკურად სუსტად მომზადებულმა ცალკეულმა ადამიანებმა, რომლებსაც მარქსისტულ-ლენინური წრთობა არა აქვთ, შეიძლება სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკა ჩვენი ეროვნული სიამაყის ერთგვარ შელახვად მიიჩნიონ.

როგორც ყოველი სხვა ხალხი, ჩვენ, ქართველები, სამართლიანად ვამაყობთ ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეებით, ქართველ რევოლუციონერთა სახელოვანი პლეადით, გამოჩენილი პოეტებით, მწერლებითა და მეცნიერებით. მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ იმ განსაკუთრებით სასტიკ რეპრესიებს, იმ უკანონობასა და თვითნებობას, რაც სტალინის პიროვნების კულტის პერიოდში ხდებოდა? არა. ჩვენ ეს არ შეგვიძლია და არც გვაქვს ამის უფლება.

ამხანაგებო, არ შეიძლება და არც უნდა გვქონდეს ჩვენი რაღაც განსხვავებული თვალსაზრისი, ჩვენი განსაკუთრებული აზრი სტალინის პიროვნების კულტის შესახებ მხოლოდ იმიტომ, რომ სტალინი ქართველი იყო. ეს იქნებოდა ნაციონალისტური, მარქსიზმ-ლენინიზმთან შეუთავსებელი თვალსაზრისი.

იმის მიხედვით, რაც პარტიის XX და XXII ყრილობებზე გამომჟღავნდა, ყოვლად შეუძლებელია სტალინის პიროვნების კულტის რაიმე გამართლება.

სწორი არ იქნებოდა პიროვნების კულტი გაგვეგო მხოლოდ როგორც რეპრესიები და საბჭოთა კანონების დარღვევა. სტალინის პიროვნების კულტი შეხედულებათა მთელი სისტემა იყო, რომლითაც გამსჭვალული იყო მაშინ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო.

ახლა ჩვენი ამოცანა ის არის, რომ ღრმად, მოთმინებით და გასაგებად განვმარტოთ პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

ჩვენმა დელეგაციამ XXII ყრილობაზე ერთსულოვნად მისცა ხმა ყველა ისტორიულ გადაწყვეტილებას, რომლებიც ყრილობამ მიიღო, რითაც გამოთქვა აზრები და გრძნობები საქართველოს მთელი პარტიული ორგანიზაციისა, მთელი ქართველი ხალხისა, რომელიც მჭიდროდ შეკავშირებულია ლენინური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

სტალინი ცოცხალი აღარ არის. მაგრამ პარტიას საჭიროდ მიაჩნია დაგმოს და უკუაგდოს ხელმძღვანელობის სამარცხვინო მეთოდები, რომლებიც გაიფურჩქნა მისი პიროვნების კულტის ვითარებაში. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ასეთი მოვლენები არასოდეს აღარ გამეორდეს. საჭიროა ძირფესვიანად აღმოვფხვრათ, ამოვძირკვოთ პიროვნების კულტის ყველა ნაშთი. წარსულის დავიწყება არ შეიძლება, იგი ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში, რათა კარგი გადმოვიღოთ, ხოლო ცუდს სამუდამოდ დავუხშოთ გზა.

სკკპ პროგრამა და წესდება, რომლებიც ყრილობამ მიიღო, ითვალისწინებენ საჭირო ორგანიზაციულ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება საშუალებას გვაძლევს მთლიანად გამოვრიცხოთ პიროვნების კულტის რეციდივების ყოველგვარი შესაძლებლობა.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდს ახასიათებს კომუნისტური პარტიის, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, როლისა და მნიშვნელობის შემდგომი ზრდა.

პარტიის პროგრამასა და წესდებაში ხორცშესხმულია მთავარი კანონზომიერებანი პარტიის განვითარებისა თანამედროვე ეტაპზე, მისი, როგორც ჩვენი საზოგადოების მაორგანიზებელი, ხელმძღვანელი ძალის, როლის გაძლიერება კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

XXII ყრილობაზე მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების ცვლილებათა შესახებ“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ფროლ რომანის-ძე კოზლოვმა.

ჩვენს პარტიას, რომელიც შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის პარტიაა, არასოდეს არ გადაუქცევია პარტიული მშენებლობის ერთხელ დადგენილი ფორმები დოგმად, მკვდარ სქემად.

დებულებანი პარტიის, როგორც კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ხალხის მოწინავე რაზმის შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ პროგრამაში, კონკრეტულად აისახა სკკპ ახალ წესდებაში—ლენინური პარტიის მძლავრ ორგანიზაციულ იარაღში.

ახალ წესდებაში, მოკლედ, მარტივად და ნათლად არის განსაზღვრული პარტიის შინაგანი ცხოვრების ძირითადი კანონები, მისი მუშაობის ფორმები და მეთოდები, პარტიის ცხოვრებაში დემოკრატიული საწყისების შემდგომი გაფართოების გზები.

წესდებაში განსაზღვრულია ყველა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლების, მათი ორგანიზაციული ფორმების სრულყოფის ამოცანები.

წესდება ხაზს უსვამს, რომ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპების განუხრელად დაცვა, პარტიული მასის წინაშე პარტიული ორგანოებისა და მათი მუშაკების პასუხისმგებლობის ამაღლება, ყველა კომუნისტის აქტივობისა და თვითმოქმედების ზრდის უზრუნველყოფა, მათი მონაწილეობა პარტიის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარება პარტიის ცხოვრების უცილობელი კანონებია.

ახალი წესდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის თანმიმდევრული უზრუნველყოფა, იმის თანმიმდევრული უზრუნველყოფა, რომ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს უფრო ფართოდ ემატებოდეს ახალი პარტიული ძალები.

ცალკეულ მუშაკთა ხელში ძალაუფლების თავმოყრის შესაძლებლობა რომ გამოირიცხოს, პარტია პრაქტიკაში ნერგავს პარტიის ყველა არჩევითი ორგანოს, როგორც პირველადი ორგანიზაციების, ისე ცენტრალური კომიტეტის სისტემატურ განახლებას გარკვეული პროპორციით, ამასთან უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის მონაცვლეობის პრინციპს.

როგორც თქვენ უნდა მოგეხსენებოდეთ, XXII ყრილობის წინ ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს ჩვენ ნაწილობრივ უკვე განვახორციელეთ განახლების პრინციპი. ჩვენი არჩევითი ორგანოების შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მათ შეემატა ახალი ახალგაზრდა ძალები.

ახალი წესდება ამაღლებს პარტიის წევრის როლსა და პასუხისმგებლობას. პარტია მოითხოვს, რომ კომუნისტები წარმოებაში, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში მთელი თავიანთი ქცევით იძლეოდნენ კომუნისტური ურთიერთობის განმტკიცების, კომუნისტური მორალისა და ზნეობის პრინციპებისა და ნორმების მტკიცედ დაცვის მაგალითს.

ახალი წესდება დაეხმარება თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას, თვითეულ კომუნისტს უკეთ განსაზღვრონ თავიანთი ადგილი XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ფაქტიური განხორციელებისათვის ბრძოლაში. ორგანიზაციული პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს წესდებას, კიდევ უფრო მჭიდროდ განამტკიცებენ ჩვენი პარტიის — საბჭოთა ხალხის მებრძოლი ავანგარდის შეკავშირებასა და მონოლითურ ერთიანობას კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო პარტიის ორგანიზატორულ მუშაობის საკითხებს, კადრების აღზრდას, პარტიულ მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების განვითარებას.

უკანასკნელ წლებში პარტიამ გადამწყვეტი შემობრუნება მოახდინა სახალხო მეურნეობის კონკრეტული ხელმძღვანელობისაკენ. ჩვენმა ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული ორგანიზაციების ყურადღება მიაპყრო მოწინავე გამოცდილების შემოქმედებითი შესწავლასა და ფართოდ გავრცელებას, გვასწავლიდა მეურნეობის გაძღოლას კონკრეტული დადებითი მაგალითებით, ამასთან უნარიანად რაზმავდა და წარმართავდა მასების ღონისძიებებს მთავარი ამოცანების გადასაწყვეტად.

საჭიროა შეურიგებელი ბრძოლა ვაწარმოოთ პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ, იმ ადამიანთა წინააღმდეგ, რომლებიც ადგებიან პარტიისა და სახელმწიფოს მოტყუების გზას, მლიქვნელთა, მეხოტბეთა, თვალისამხვევთა, ბიუროკრატთა წინააღმდეგ. ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭიროა გაბედულად ჩავაბათ პარტიული ორგანოების მუშაობაში საზოგადოებრივ საწყისებზე ფართო პარტიული აქტივი.

თანამედროვე პირობებში, ნათქვამია ყრილობის გადაწყვეტილებებში, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება პარტიულ, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ კონტროლს საქმის სწორი ორგანიზაციისადმი, იმისადმი, რომ პროგრამისა და წესდების მოთხოვნებს, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დირექტივებსა და მითითებებს ზუსტად ასრულებდეს თვითეული მუშაკი ყოველ პოსტზე.

მასობრივი კონტროლი ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლის საიმედო იარაღია, მასების კომუნისტური აღზრდის სკოლაა. XXII ყრილობამ დაავალა ცენტრალურ კომიტეტს შეიმუშაოს პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის გაუმჯობესებისა და სრულყოფის ქმედითი ღონისძიებანი.

ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციების — საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის, კოოპერაციის საქმიანობას. თანამედროვე პირობებში, როცა ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო განვითარდება კომუნისტური თვითმმართველობა, ამ ორგანიზაციების როლი განუწყვეტლივ და განუხრელად გაძლიერდება.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძე აღნიშნავს, რომ ჩვენი პარტიის მთელი პრაქტიკული საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პირობაა იდეოლოგიური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება და გაძლიერება. თანამედროვე პირობებში ეს პარტიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

კომუნიზმი და შრომა განუყოფელია. ადამიანის მომზადება შრომითი საქმიანობისათვის, ადამიანის შრომითი გამოწრთობა, შრომისადმი როგორც უმთავრესი სასიცოცხლო მოთხოვნილებისადმი სიყვარულისა და პატივისცემის ჩანერგვა, — ამბობდა ნ. ს. ხრუშჩოვი საანგარიშო მოხსენებაში, — წარმოადგენს კომუნისტური აღზრდის დარგში მთელი მუშაობის დედაარსსა და გულს.

ჩვენში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც კომუნიზმი უქმად ყოფნისა და უსაქმურობის საზოგადოებად მიაჩნიათ. ჩვენში ჯერ კიდევ ბევრი ვერ განთავისუფლებულა წარსულის ტვირთისაგან. წარსულის გადმონაშთები საშინელი ძალაა. ეს ისეთი სარეველებია ჩვენს საზოგადოებაში, როგორიც არის უსაქმურობა და მუქთახორობა, ლოთობა და ხულიგნობა, თაღლითობა და მომხვეჭელობა დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის რეციდივები. ეს არის ბიუროკრატიზმი, ქალისადმი არასწორი დამოკიდებულება, რელიგიური ცრურწმენები და ბევრი სხვა ამგვარი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ ბურჟუაზიული ზნეჩვეულებების გამოცოცხლებას ყოველი ღონისძიებით ცდილობენ საზღვარგარეთიდან იდეოლოგიური დივერსიის გზით. უნდა ამოვძირკვოთ ეს სარეველები დაკვირვებული, გულმოდგინე აღმზრდელობითი მუშაობით, აღვზარდოთ ახალი ადამიანი, დიადი იდეალებისა და მაღალი მორალური პრინციპების ადამიანი.

კომუნისტური აღზრდის საკითხები თვითეული პარტიული ორგანიზაციის, მთელი საზოგადოებრიობის ყურადღებისა და საქმიანობის ცენტრში უნდა იყოს.

თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიურ მუშაობაში მთავარი ის არის, რომ ყველა მშრომელი აღვზარდოთ მაღალი იდეურობის, შეგნებულობის, კომუნიზმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, ჩავუნერგოთ შრომისადმი, საზოგადოებრივი მეურნეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, სრულიად აღმოვფხვრათ ბურჟუაზიულ შეხედულებათა და ზნეჩვეულებათა გადმონაშთები, უზრუნველვყოთ პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება, სულიერი კულტურის ჭეშმარიტი სიმდიდრის შექმნა.

ახლა, ყრილობის შემდეგ, იდეოლოგიური მუშაობის ძირითადი და გადამწყვეტი ამოცანა უნდა გახდეს სკკპ პროგრამის, ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სხვა დოკუმენტების ღრმა განმარტება, საბჭოთა საზოგადოების ყველა მშრომელის შეიარაღება კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის დიადი გეგმით, ყველა მშრომელის დარაზმვა პარტიის ახალი პროგრამის განსახორციელებლად.

მასებზე პარტიის იდეური გავლენის ყველა საშუალება — პროპაგანდა, აგიტაცია, პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, ლიტერატურა და ხელოვნება — უნდა გამოვიყენოთ კომუნისტური საზოგადოების აშენების ამოცანის განსახორციელებლად.

სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის პერიოდში ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა უდიდესი მუშაობა გასწიეს ჩვენი ეპოქის ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების გაცნობისა და შესწავლისათვის. რაიონებში წავიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისტთა ჯგუფები, მოეწყო თეორიული კონფერენციები, წაკითხულ იქნა ორი ათასზე მეტი ლექცია და მოხსენება. კიდევ უფრო დიდი გაქანებით უნდა გაიშალოს ეს მუშაობა ახლა.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხების, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძოლის მსოფლიო-ისტორიული გამოცდილების ღრმა შესწავლა კვლავაც პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პროპაგანდისტული და იდეოლოგიური მუშაობის დარგში.

ერთსულოვნად და დიდი კმაყოფილებით რომ მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნაყოფიერი თეორიული მუშაობა, რამაც ყველაზე სრული გამოხატულება ჰპოვა პარტიის ახალ პროგრამაში, XXII ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა კვლავაც მაღლა გვეჭიროს და წმიდად დავიცვათ მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე დროშა, განვავითაროთ და გავამდიდროთ თეორია ახალი დებულებებით, რომლებიც განაზოგადებენ კომუნისტური მშენებლობის გამოცდილებას.

— XXII ყრილობამ, ამბობს მომხსენებლის დასასრულს ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, — დაამთავრა თავისი მუშაობა, ხოლო ჩვენი ქვეყანა, მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობა, ჩვენი მტრებიც კი ჯერ კიდევ ცხოვრობენ თანამედროვეობის ამ თვალსაჩინო მოვლენის შთაბეჭდილებით.

მსოფლიო განცვიფრებულია დიადი კომუნისტური იდეალებით, რომლებიც აღბეჭდილია ყრილობის მიერ მიღებულ პარტიის მესამე პროგრამაში—გენიალურ ყოვლისმომცველ, თავის საბოლოო მიზნებით გრანდიოზულ პროგრამაში, კომუნიზმის შესახებ კაცობრიობის ოცნების განხორციელების პროგრამაში.

ჩვენ კომუნიზმს ვაშენებთ! ჩვენ კომუნიზმის გამარჯვებას მივაღწევთ!

ეს გამარჯვება ჩვენს ხელთ არის. იგი ჩვენი შრომის, ჩვენი ნების, ჩვენი ცოდნის საქმეა! ამ გამარჯვების საწინდარია ლენინის პარტიის, მისი ნაცადი და გამოწრთობილი ხელმძღვანელობის გარშემო ჩვენი ურღვევი შეკავშირება.

მთელი ჩვენი ძალები, მთელი ენერგია მოვახმაროთ კომუნიზმის გამარჯვების დიად საქმეს.

**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში გაისმა დარბაზში, როცა მომხსენებელმა გამარჯვება უსურვა საბჭოთა კავშირის დიად კომუნისტურ პარტიას, ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს გამოჩენილი ლენინელის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით, კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს.**

---

# ერთსულოვნებისა და მჭიდრო დარაზმულობის ვითარებაში

## საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების გამო გაიმართა აზრთა გაზიარება. ორატორებმა მხურვალედ და ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ისტორიული XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი, კომუნიზმის აშენების დიდებული პროგრამა და პარტიის წესდება, რომლებიც მან მიიღო, ილაპარაკეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის განვითარების პერსპექტივებზე, გააკრიტიკეს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებანი, აღნიშნეს, რა რეზერვები მოგვეპოვება, დასახეს პარტიის ბრძნულ წინასწარდასახულობათა პრაქტიკული განხორციელების ღონისძიებანი.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. რ. ი. ფრუიძე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა, რომელსაც ჩვენმა ხალხმა კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა უწოდა, ამბობს იგი, პარტიისა და ხალხის დიადი ერთიანობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა. გავა მრავალი წელი, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ჩაიწერება ახალი შესანიშნავი ფურცლები, საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში იქნება ახალი მიღწევები, მაგრამ სკკპ XXII ყრილობა სამუდამოდ დარჩება მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად.

უკანასკნელი წლების მანძილზე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა ჭეშმარიტად რევოლუციური ღონისძიებანი, რომლებმაც უზრუნველყო სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის ახალი აღმავლობა, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება. ეს შესანიშნავი გამარჯვებანი კვლავ და კვლავ ადასტურებენ, თუ რა უდიდესი ცხოველმყოფელი ძალა ჰქონდა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომელმაც ამხილა სტალინის პიროვნების კულტი და მისი მავნე შედეგები, აღადგინა ლენინური პრინციპები პარტიული და სახელმწიფოებრივი საქმიანობის ყველა დარგში. საქართველოს დედაქალაქის მშრომლები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად მხურვალედ იწონებენ იმ საქმიანობას, რასაც ეწევიან პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, გულისწყრომით გმობენ საზიზღარი ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილეებს, რომელნიც ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი წინსვლისათვის კომუნიზმისაკენ.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა მუშაკებმა, ყრილობისათვის რომ ემზადებოდნენ, ვადაზე ათი დღით ადრე შეასრულეს ათი თვის დავალება, მისცეს სამშობლოს მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივებმა მოსკოვის საწარმოთა მოწოდებით გაშალეს შეჯიბრება მხოლოდ ჩინებული ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის. შემოქმედებითი საქმიანობის პათოსი სუფევდა საწარმოებში, მშენებლობებზე, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში ყრილობის მუშაობის დროს. ეს დიდი შრომითი აღფრთოვანება ახლაც არც ერთი წუთით არ ნელდება.

ამხ. ფრუიძე შეჩერდა საბინაო მშენებლობის საკითხებზე. ჩვენს წინაშე, ამბობს იგი, არასოდეს არ მდგარა მშობლიური ქალაქის განვითარების ისეთი ვრცელი პროგრამა, როგორიც ახლაა. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე 65 ათასზე მეტმა კაცმა — ესე იგი ყოველმა მეათე მცხოვრებმა ახალი კეთილმოწყობილი ბინა მიიღო. შვიდწლედის მანძილზე თბილისში აშენდება 1.800 ათასი კვადრატული მეტრი ბინები. 1980 წლისათვის ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება. ამ დროისათვის ჩვენ თვითეულ კაცზე უნდა გვქონდეს 18 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მაშასადამე, საერთო საბინაო ფართობი ოთხჯერ გაიზრდება. ეს პასუხსაგებ ამოცანებს აკისრებს სამშენებლო ორგანიზაციებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებას.

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. დ. კოზაევი ლაპარაკობს იმ უდიდესი მუშაობის კეთილმყოფელ გავლენაზე, რომელიც პარტიამ და მისმა ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით განახორციელეს პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმებისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების აღსადგენად.

კომუნისტებმა და ყველა საბჭოთა ადამიანმა, თქვა ამხ. კოზაევმა, მხურვალედ და ერთსულოვნად მოიწონეს მოლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვისა და მათ თანამზრახველების ანტიპარტიული ფრაქციული ჯგუფის განადგურება, ჯგუფისა, რომელიც ხელს უშლიდა სკკპ XX ყრილობის ლენინური კურსის — პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის კურსის — განხორციელებას და რომელიც ცდილობდა ჩაეშალა ცენტრალური კომიტეტის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი: ყამირის ათვისება, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაცია, მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება, ჩვენს ქვეყანაში დაგეგმვის წესის შეცვლა, რევოლუციური კანონიერების განხორციელება და სხვ. მათი გამთიშველი საქმიანობა პირდაპირი გამოწვევა იყო მთელი ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, რომელიც მტკიცედ იცავს ლენინურ მეთოდებსა და სტილს პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის დროს.

დიდ გულისტკივილს იწვევს, ამბობს ამხ. კოზაევი, 1937 წლის ყოვლად უსაფუძვლო რეპრესიების პერიოდში თვალსაჩინო პარტიულ, საბჭოთა, სამხედრო და კომკავშირულ მოღვაწეთა მოსპობის ფაქტის შეგნება. ხოლო რამდენი ერთგული შვილი დაკარგა საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, ქართველმა ხალხმა საზიზღარი მტრის არამზადა ბერიას მავნე, კარიერისტული და ავანტიურისტული საქმიანობის შედეგად!

მძიმე დანაკლისი განიცადეს ჩვენი ოლქის მშრომელებმაც. არასრული მონაცემებით, 1937-1938 წლებში რეპრესირებულ და დახვრეტილ იქნა ასობით ადამიანი, მათ შორის პარტიის საოლქო კომიტეტისა და რაიკომების მდივნები, საოლქო აღმასკომისა და რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, რევოლუციური მოძრაობის, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის ისეთი აქტიური მონაწილენი, როგორიც იყვნენ რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ლადო სანაკოევი, პარტიის საოლქო კომიტეტის წევრები: ალექსანდრე აბაევი, სერგო გაგლოევი, არონ პლიევი და სხვები. ყველა მათ ბრალად დასდეს კონტრრევოლუცია და ეგრეთწოდებული ანტისაბჭოთა ტერორისტულ-ნაციონალისტური საქმიანობა. როგორც უფრო გვიან, ბერიას და მისი ბანდის მხილების შემდეგ გამოირკვა, არავითარი ანტისაბჭოთა ნაციონალისტური ცენტრი სამხრეთ ოსეთში არ ყოფილა და თითქმის ყველა უკანონოდ რეპრესირებული ადამიანი რეაბილიტირებულია, მათი უმრავლესობა სიკვდილის შემდეგ.

ორატორმა აღნიშნა, თუ რა შესანიშნავი შედეგები მოჰყვა სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც სამხრეთ ოსეთში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში გაიშალა სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავად. ლენინური სულისკვეთებით გამსჭვალული XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი მასების შემოქმედებითი აქტივობის ახალ ზრდას იწვევენ. სამხრეთ ოსეთის მრეწველობამ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა ათი თვის გეგმა. ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაწეულია დიდი მუშაობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. გადაჭარბებით შესრულდა ხორცისა და რძის დამზადების ცხრა თვის გეგმები. სასახელოდ იშრომეს მესიმინდეებმა. მიმდინარე წელს ოლქში გაორკეცდა სიმინდის მარცვლის საშუალო მოსავლიანობა და საერთო მოსავალი. სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაციები ფართოდ აჩაღებენ ორგანიზატორულ მუშაობას, რაზმავენ მასებს სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

— პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც საბჭოთა ადამიანებს კომუნისტური საზოგადოების აშენების დიდებულ პერსპექტივებს უსახავს, მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომი შემოქმედებითი განვითარებაა, — ამბობს საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. შ. ი. კობახიძე.

ეს ისტორიული დოკუმენტი განაზოგადებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის მდიდარ გამოცდილებას და საზოგადოების განვითარების კანონებზე დაყრდნობით ანათებს ჩვენს გზას უახლოესი ისტორიული პერიოდისათვის. ქუთაისის მშრომლები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, სულით და გულით უძღვნიან მადლობას ჩვენი დროის კომუნისტური მანიფესტის შემოქმედს — სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით.

პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებები ჩვენი ქალაქის მშრომელებს მიაჩნიათ თავიანთი სანუკვარი ფიქრების, ინტერესების, ნების გამოხატულებად. ამიტომ არის, რომ პარტიის მოწოდებას — მთელი ძალღონე მოვახმაროთ კომუნიზმის აშენების დიადი პროგრამის განხორციელებას — ისინი უპასუხებენ თავდადებული შრომით. ქალაქის მრეწველობამ 22 ოქტომბრისათვის უპატაკა ათი თვის დავალების შესრულება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 3.416.000 მანეთის პროდუქცია. სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ზრდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგენს 13,7 პროცენტს. ეს იძლევა იმის გარანტიას, რომ შვიდწლედის დავალებანი წარმატებით შესრულდება.

ფართო ფრონტით წარმოებს ქალაქში საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. მაგრამ საბინაო მშენებლობის ტემპები ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. განსაკუთრებით სერიოზული სამუშაოები უნდა განხორციელდეს კომუნალური მეურნეობის გაფართოებისა და ძირეული გაუმჯობესებისათვის.

შეეხო რა იდეოლოგიურ მუშაობას, ორატორმა აღნიშნა, რომ ქალაქის პარტიული ორგანიზაციის მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის ცენტრშია მშრომელთა კომუნისტური აღზრდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების აღმოფხვრას. იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ათეისტურ პროპაგანდას. იდეოლოგიური მუშაობის ამ უბანს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, ორატორის აზრით, უნდა ვიფიქროთ პროპაგანდისტული კადრების მომზადებაზე ათეისტური პროპაგანდის გასაწევად, დავაჩქაროთ საჭირო ლიტერატურის გამოცემა ქართულ ენაზე.

თუ რა მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდა მშრომელებს შორის პარტიის XXII ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, ამაზე ილაპარაკა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ო. ე. ჩერქეზიამ. — ჩვენი სახელოვანი ქალიშვილები და ჭაბუკები ამაყობენ იმის შეგნებით, რომ წილად ხვდათ უდიდესი პატივი — თვითონ აშენონ და იცხოვრონ კომუნიზმის დროს, რომელზეც ოცნებობდა კაცობრიობის ბევრი თაობა. ახალგაზრდობის წინაშე იშლება ფართო ჰორიზონტები, რომლებიც ახალი საგმირო საქმეებისაკენ მოუწოდებენ.

კომუნისტური პარტია იჩენს ყოველდღიურ მამობრივ ზრუნვას კომუნიზმის მშენებელი ახალგაზრდა თაობისათვის. ახალგაზრდობა, ლენინური კომკავშირი მშობლიური პარტიის საიმედო დასაყრდენია. ჩვენი ჭაბუკები და ქალიშვილები მხურვალედ მიესალმებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის უდიდეს მუშაობას პიროვნების კულტის მხილებისა და მისი შედეგების დაძლევისათვის, ფრაქციონერთა საზიზღარი ჯგუფის იდეური, პოლიტიკური და ორგანიზაციული განადგურებისათვის. ქართველ ახალგაზრდობას არ შეუძლია დაივიწყოს მიხეილ ჯავახიშვილის, სანდრო ახმეტელის, ევგენი მიქელაძისა და ეროვნული კულტურის სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა სახელები, რომლებიც უკანონობისა და რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ.

პარტიის მოწოდებით საბჭოთა ახალგაზრდობა და მისი მოწინავე ავანგარდი — ლენინური კომკავშირი მზად არიან იერიშით მიიტანონ ყველაზე მაღალ მიჯნებზე, თავიანთი მარჯვენა, მძიებელი გონება, ენერგია გამოიყენონ იქ, სადაც ყველაზე მეტი სიძნელეა. წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში საქართველოს ახალგაზრდობამ საყვარელ სამშობლოს საჩუქრად უძღვნა მილიონობით მანეთის ზეგეგმითი სულ სხვადასხვანაირი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი შთაგონებისა და ბევრი ძვირფასი წამოწყების წყარო გახდა: თბილისის ახალგაზრდობამ დაიწყო ბრძოლა საწარმოთა რიტმული მუშაობისათვის. ფართოდ ჩაღდება მოძრაობა წარმოების მაღალი კულტურისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, მსოფლიოში საუკეთესო პროდუქციის გამოშვებისათვის.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდა თაობის შრომით აღზრდას. თვითეული ახალგაზრდა ადამიანი ისე უნდა აღვზარდოთ, რომ შრომა მისთვის ცხოვრების მიზანი, ყოველდღიური მოთხოვნილება გახდეს. საქართველოს კომკავშირის მთელი მუშაობა კვლავაც მოხმარდება ახალგაზრდობის მობილიზაციას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად. ქალიშვილებისა და ჭაბუკების შრომისმოყვარე ხელებს ელოდებიან მარგანეცის ქალაქის — ჭიათურისა და „დიდი ქიმიის“ ქალაქის — რუსთავის ახალშენებანი, შვიდწლედის უდიდესი მშენებლობა — ენგურის ჰიდროელექტროსადგური. ახალგაზრდობა მზად არის იშრომოს იმისათვის, რომ კოლხიდის დაბლობის უნაყოფიერესი მიწები უხვ მოსავალს იძლეოდეს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ღონისძიება, რომლებიც სკკპ XX და XXI ყრილობების შემდეგ განხორციელდა, ამბობს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. მ. ტ. ბღაჟბა, ცხადყოფს ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების უდიდეს შემოქმედებით ძალას, მოწმობს, რომ ჩვენი პარტია მტკიცე რწმენით მიდის ერთადერთი სწორი, ლენინური გზით. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის უდიდესი დამსახურებაა სრული იდეური და ორგანიზაციული განადგურება ფრაქციული ანტიპარტიული ჯგუფისა, რომელიც გაფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა რევოლუციური გარდაქმნების განხორციელებას ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში.

საბჭოთა აფხაზეთის კომუნისტებსა და ყველა მშრომელს, ამბობს ორატორი, არ შეუძლიათ დაივიწყონ მძიმე და მწარე დანაკლისი, რაც საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ პიროვნების კულტის პერიოდში განიცადა. ბევრი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკი, კულტურის მოღვაწე, რიგითი კომუნისტი და უპარტიო მაშინ თვითნებობისა და რეპრესიების მსხვერპლი გახდა. უდანაშაულოდ დაიღუპნენ ამხანაგები ეფრემ ეშბა, ნესტორ ლაკობა, ნიკოლოზ აკირტავა, სევერიანე კუხალეიშვილი, ვლადიმერ ლადარია, სამსონ ჩანბა და პარტიისა და ხალხის საქმის ბევრი სხვა ერთგული, თავდადებული მებრძოლი, აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ორგანოებში შეპარულმა საბჭოთა ხელისუფლების მტრებმა, რომლებიც სარგებლობდნენ სტალინის პიროვნების კულტით წარმოშობილი თვითნებობით, თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენეს პატიოსანი საბჭოთა მოქალაქეების, უწინარეს ყოვლისა პარტიულ-საბჭოთა აქტივის მოსპობისათვის. 1937 წლის 25 ივლისს პარტიისა და ხალხის მტერმა ბერიამ აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დანიშნა სოციალურად უცხო წრიდან გამოსული, დიდი ვაჭრის შვილი ვინმე ფაჩულია, რომელმაც, როგორც კლასობრივმა მტერმა, მოაწყო რევოლუციონერების, რესპუბლიკის პარტიულ-საბჭოთა აქტივის ტერორისტული დევნა და ანგარიშის გასწორება. ამ გარეწარს ჰქონდა თავისი ლოზუნგი: „დავაპატიმროთ, მასალები კი მოინახება“.

ანტიპარტიული ჯგუფის საზიზღარი მეთაურები, რომელთა მონაწილეობით ხდებოდა ამგვარი ბოროტმოქმედებანი, პიროვნების კულტის პერიოდში ნერგავდნენ ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა კონსტიტუციური უფლებების, საბჭოთა რესპუბლიკების უფლებების უხეშად დარღვევას. ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებს ავსებდნენ თავიანთი გამოსახულებებით, ყოველნაირი მონუმენტებითა და ბიუსტებით.

სკკპ პროგრამაში ხაზგასმით არის აღნიშნული, ამბობს ორატორი, რომ კომუნიზმის აშენება ხალხის შრომის, მისი ენერგიის, მისი გონების საქმეა. კომუნიზმის გამარჯვება დამოკიდებულია ადამიანებზე, რომელთა ბედნიერებისათვის იგი შენდება. პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული აფხაზეთის კომუნისტებსა და ყველა მშრომელს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელი ძალღონე და ენერგია მოახმარონ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების შექმნის დიად საქმეს.

გამოდის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ამხ. ე. კ. ხარაძე. იგი ამბობს: პარტიის პროგრამის მითითებებიდან გამომდინარეობს, რომ აქტუალური მნიშვნელობა აქვს მოზარდი თაობის აღზრდას, მის შეიარაღებას მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებსა და მასწავლებლებს კარგად ესმით და შეგნებული აქვთ პასუხისმგებლობა ჩვენს წინაშე დასახული ამოცანებისათვის. პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომლებიც მოასწავებენ ახალ ეტაპს შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარებაში, ამავე დროს საეტაპოა საბჭოთა სკოლისათვის, რომელიც მოწოდებულია კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა სამჭედლო გახდეს.

პიროვნების კულტის პერიოდში, როგორც ეს სამართლიანად იყო აღნიშნული ამხანაგ მჟავანაძის მოხსენებაში, თქვა ორატორმა, მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა ჩვენმა მოწინავე, შემოქმედებითმა ინტელიგენციამ. რამდენი სახელმწიფო მოღვაწე, მოწინავე მეცნიერი, მწერალი, ექიმი, ინჟინერი, მუსიკოსი, მსახიობი გახდა უკანონობის მსხვერპლი! ჩვენს თაობას კარგად ახსოვს, რომ იყო დღეები და ღამეები, როცა ვერ გაგვეგო, თუ რა ხდებოდა ჩვენს გარშემო, როცა ჩვენი რიგებიდან მიჰყავდათ ადამიანები, რომელთა ხალხის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავით. ამიტომ ჩვენ მივესალმებით ყველა ღონისძიებას, რომლებიც გამორიცხავენ ამგვარ დამახინჯებებს მომავალში.

ყრილობის დოკუმენტების მიხედვით განსაკუთრებით გარკვევით ჩანს ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ არის ჩვენს მუშაობაში. ჩვენ უნდა ავამაღლოთ სტუდენტთა შორის მთელი აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი. ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანებს რომ ვზრდით, საჭიროა მხედველობაში გვქონდეს, რომ თავიანთი შემოქმედებითი ნიჭი მათ სავსებით უნდა გამოავლინონ ათი-ოცი წლის შემდეგ. მაშინ საბჭოთა საზოგადოება, რომელიც მიაღწევს განვითარების ახალ მაღალ საფეხურს, კიდევ უფრო დიდ მოთხოვნებს წაუყენებს მათ.

ჩვენს რესპუბლიკაში რეკორდული რაოდენობით არიან საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ადამიანთა მომზადების დონეც, მათი ცოდნის ხარისხიც იყოს მაღალი და სანიმუშო. ამისათვის საჭიროა ავამაღლოთ პედაგოგთა, პროფესორთა და მასწავლებელთა მეცნიერული კვალიფიკაცია, მივაღწიოთ იმას, რომ ისინი ახალგაზრდობას უჩვენებდნენ მაღალი მორალური სახის ნამდვილ მაგალითს. ზოგჯერ ჩვენ გვერდს ვუვლით ისეთ ფაქტებს, როცა აღმზრდელი არ შეეფერება მისთვის წაყენებულ მაღალ მოთხოვნებს. მაგალითად, უმაღლეს სასწავლებლებში ყოველთვის როდი ვიყენებთ საშუალებებს მასწავლებელთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის: სამუშაოზე მათ მიღებას კონკურსის გავლით, ლექციების შემოწმებას, საკვალიფიკაციო შეხებულებებს და სხვ. ჩვენს დროში, როცა ასე სწრაფად იცვლება მეცნიერების შინაარსი და მიმართულება, ცოდნის მთელი სისტემა, აუცილებელი ხდება მასწავლებელთა კადრების სისტემატური განახლება.

ორატორი ლაპარაკობს აგრეთვე იმაზე, რომ გაიზარდა როლი თბილისის უნივერსიტეტისა, როგორც ჩვენი ქვეყნის დიდი მეცნიერული ცენტრისა, რომელშიც ნაყოფიერად შრომობენ მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა მრავალრიცხოვანი კადრები.

ისტორიას არ ახსოვს ისეთი წარმატებები და მიღწევები — თქვა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა — პოლიტსამმართველოს უფროსმა ამხ. თ. ბ. სტეპჩენკომ, — როგორითაც ჩვენი კომუნისტური პარტია შეხვდა თავის XXII ყრილობას. ეს მიღწევები აოცებენ მთელ მსოფლიოს, მათზე ლაპარაკი შეუძლებელია ისე, რომ არ განიცადო აღტაცება და უდიდესი სიხარული.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კომუნისტებმა და მთელმა პირადმა შემადგენლობამ, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, კარგად იციან, რომ ეს გამარჯვებანი შედეგია უდიდესი ორგანიზატორული მუშაობისა, რასაც ეწევა ჩვენი პარტია და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, რომ ისინი ცხადყოფენ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა დიად სასიცოცხლო ძალას, რომელმაც აღადგინა ლენინური პრინციპები პარტიისა და სახელმწიფოს მთელ საქმიანობაში. სტალინის პიროვნების კულტისა და მისი მავნე შედეგების დაძლევა, კანონიერებისა და პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენა, მოლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვისა და სხვათა ანტიპარტიული ფრაქციული ჯგუფის განადგურება ჩვენი პარტიის დიდი გამარჯვებაა, რამაც საშუალება მისცა თვითეულ კომუნისტს ეგრძნო ახალი ძალების მოზღვავება კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი საქმისათვის ბრძოლაში, შესაძლებელი გახადა უფრო ფართოდ გაიშალოს ჩვენი ხალხის ინიციატივა, მისი შემოქმედება და ენერგია.

ჩვენ მოხარული ვართ და ვამაყობთ, თქვა ამხ. სტეპჩენკომ, რომ ჩვენი გეგმები მშვიდობიანი შემოქმედების გეგმებია. XXII ყრილობაზე საბჭოთა კავშირმა ერთხელ კიდევ უმაგალითო ძალით ცხადყო, რომ იგი მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის დაუცხრომელი მებრძოლია. მოსპოს ომი, დაამყაროს მარადიული მშვიდობა დედამიწაზე — ასეთია კომუნიზმის ისტორიული მისია.

დაეყრდნო რა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ღრმა მარქსისტულ-ლენინურ ანალიზს, ყრილობამ აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცება პარტიისა და ხალხის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი ახლა აღჭურვილი არიან ყველაზე მძლავრი, თანამედროვე იარაღით. ჰყავთ მორალურად მტკიცე და სამშობლოს უსაზღვროდ ერთგული გენერალთა, ოფიცერთა, სერჟანტთა და ჯარისკაცთა კადრები.

ამხ. სტეპჩენკომ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომართა და არმიის ყველა კომუნისტთა სახელით პირობა მისცა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ოლქის ჯარების პირადი შემადგენლობა, სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული, დაუცხრომლად აიმაღლებს საბრძოლო მზადყოფნას, ყოველ ღონეს იხმარს, რათა ჩვენი სამშობლოს სამხრეთი საზღვრები მიუვალი ციხე-სიმაგრე იყოს ყოველ იმპერიალისტი აგრესორისათვის.

პარტიის XXII ყრილობამ ცხადყო საბჭოთა ქვეყნის უდიდესი წარმატებანი როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის დარგში, აცხადებს საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ი. ა. ტოლიაშვილი, ეს, ხაზს უსვამს იგი, იმის შედეგია, რომ თანმიმდევრულად ხორციელდებოდა პარტიის გენერალური ხაზი, XX ყრილობის ლენინური კურსი, რომელიც ნაკარნახევი იყო თვით ცხოვრებით და რომელიც განმსჭვალულია შემოქმედებითი რევოლუციური სულისკვეთებით.

სტალინის პიროვნების კულტის შედეგების მხილებამ ხელი შეუწყო პარტიის კავშირის განმტკიცებას ხალხთან, წარმოშვა ახალი [illegible] ძალები. ჩვენ მთლიანად ვუერთდებით XXII ყრილობის დელეგატების ხმას და გულისწყრომით ვგმობთ მოლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვისა და სხვების ანტიპარტიულ საქმიანობას. ამ ადამიანებს ეკისრებათ პირდაპირი პასუხისმგებლობა იმ უკანონობისათვის, რომელიც პიროვნების კულტის პერიოდში მოხდა, ჩვენ ვერც იმ რეპრესიებს დავივიწყებთ, რომლებიც გადაიტანეს საბჭოთა ადამიანებმა და, კერძოდ, საქართველოს მშრომელებმა 1937-1938 წლებში. დიდად დაზარალდა გორის პარტიული ორგანიზაციაც.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის გა-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

კომუნისტი
მე-3 გვერდი, კვირა,
19 ნოემბერი, 1961 წ.

# ერთსულოვნებისა და მჭიდრო დარაზმულობის ვითარებაში

(დასასრული)

მოსვლებში XXII ყრილობაზე თქვა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების ერთ-ერთი მთავარი გზაა მიწების რაციონალური გამოყენება, მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების გავრცელება და დანერგვა. რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ეწევიან ნათესების სტრუქტურის გადასინჯვას, უხვმოსავლიანი კულტურებით ცვლიან მცირემოსავლიან კულტურებს. უკვე მომავალ წელს დიდ ფართობებზე დაითესება პარკოსანი კულტურები. სიმინდთან ერთად პარკოსანი კულტურები ხელს შეუწყობენ მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებას.

რაიონში ჯერ კიდევ არის ეკონომიურად სუსტი, ჩამორჩენილი კოლმეურნეობები. პარტიის რაიკომი ახორციელებს ღონისძიებებს მათთვის არსებითი საქმიანი დახმარების გასაწევად, რაც გამოიხატება იმით, რომ ამ მეურნეობებს განამტკიცებს სპეციალისტთა კვალიფიციური კადრებით, ნერგავს შრომის პროგრესულ მეთოდებს, აუმჯობესებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურას. ჩვენში ცოტა როდია მოწინავე მეურნეობა, უხვი მოსავლის ოსტატი, მეცხოველეობის ოსტატი. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, ამბობს ორატორი, რათა ნოვატორებს მხარი გაუსწორონ დანარჩენებმა, რათა მოწინავეთა მიღწევები საერთო კუთვნილება გახდეს.

გამოდის სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი ამხ. **ვ. ნ. მერკვილაძე**.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თქვა მან, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. პროგრამაში გაშლილად არის მოცემული პარტიისა და ხალხის ძირითადი ამოცანები არა მარტო მატერიალური დოვლათის, არამედ კომუნისტური საზოგადოების სულიერ წანამძღვართა შექმნის დარგში. პროგრამაში ჩამოყალიბებულია მთელი რიგი ახალი თეორიული დებულებანი, რომლებსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვთ მეცნიერული კომუნიზმის შემდგომი განვითარებისათვის.

სკკპ პროგრამისა და პარტიის XXII ყრილობის ყველა დოკუმენტის თითოეული დებულება, თითოეული სტრიქონი, ამბობს ორატორი, გამსჭვალულია ჩვენი სამშობლოს ძლიერების ზრუნვისათვის, საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის ზრუნვით. სწორედ პარტიისა და ხალხის ინტერესებით ხელმძღვანელობდა ლენინური ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, როცა მთელი სიმტკიცით დაგმო სტალინის პიროვნების კულტი, გადამწყვეტი ღონისძიებანი განახორციელა მისი მავნე შედეგების დასაძლევად. პარტიამ სიმართლე უთხრა ხალხს, რაც საჭირო იყო იმისათვის, რომ ასეთი მოვლენა არასოდეს აღარ გამეორდეს.

დღეს ყველასთვის ნათელია, რომ პიროვნების კულტის უმძიმესი შედეგებისათვის პასუხისმგებლობა, კულტისა, რომლის პერიოდში მოსპობილ იქნა ათეულ ათასობით პატიოსანი საბჭოთა ადამიანი, ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილეებსაც ეკისრებათ. ამჟამად მთლიანად მხილებული და განადგურებული ამ ჯგუფის მონაწილენი — მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მალენკოვი, ეწინააღმდეგებოდნენ რა პარტიის XX ყრილობის მტკიცე ლენინურ კურსს, ცდილობდნენ დაეფარათ თავიანთი დამნაშავეობა და თავიდან აეცილებინათ პასუხისმგებლობა.

პიროვნების კულტის პერიოდში წარმოშობილმა უკანონობამ დიდი ზარალი მიაყენა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას. პარტიისა და ხალხის უბოროტესმა მტერმა ბერიამ მოსპო ბევრი უდანაშაულო პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკი, ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

ორატორმა კრების მონაწილეთ გააცნო დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, თუ რა უხეშად, წესდების, პარტიული ცხოვრების ელემენტარული ნორმებისა და პრინციპების დარღვევით რიცხავდნენ პარტიიდან მის ერთგულ ადამიანებს, რეპრესიას მიმართავდნენ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების, მათ შორის ცენტრალური კომიტეტის წევრების, საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნების წინააღმდეგ.

სერიოზული ზიანი მიაყენა პიროვნების კულტმა იდეოლოგიურ მუშაობას, განსაკუთრებით მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან ისტორიული მეცნიერების მთელი რიგი აქტუალური პრობლემების გაშუქების საქმეს.

მთელი რიგი წლების განმავლობაში არ შექმნილა რაიმდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი პოლიტიკურ ეკონომიაში, ფილოსოფიაში, ისტორიაში. ახლა ჩვენს პარტიაში კვლავ თავისუფლად ვითარდება შემოქმედებითი აზრი, შეიქმნა ნამდვილი შემოქმედებითი ვითარება. XX ყრილობის შემდეგ მოკლე ვადაში შეიქმნა მარქსისტულ-ლენინური შრომები პარტიის ისტორიაში, პოლიტეკონომიასა და ფილოსოფიაში.

სიტყვა ეძლევა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **ლ. მ. დავითაძეს.** შეგვიძლია მტკიცე რწმენით ვთქვათ, ამბობს იგი, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი ხალხისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს ბედისთვისაც, მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის.

პარტიის XXII ყრილობამ ცხადყო მონოლითურობა და შეკავშირება, ერთგულება ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელსაც ურყევი ლენინელი ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს. ყრილობის მომზადებისა და მუშაობის დღეებში და კომუნისტთა ამ მსოფლიოისტორიული ფორუმის მუშაობის დამთავრების შემდეგ განვლილი დროის მანძილზე განუზომლად გაიზარდა უფართოესი მასების ნდობა, სიყვარული და პატივისცემა დიდი ლენინის პარტიისადმი.

მხურვალე ერთგულებას პარტიის საქმისადმი, კომუნისტური მშენებლობის საქმისადმი აჭარის მშრომელები ცხადყოფენ ყოველდღიური თავდადებული ბრძოლით შვიდწლედის დავალებათა განხორციელებისათვის. აჭარის მრეწველობამ ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულა 10 თვის დავალება, გეგმის გადამეტებით გამოუშვა დიდძალი ნავთობპროდუქტები, სახლვაო კატარღები, ჩაისა და კვების მრეწველობის მანქანები, ფართო მოხმარების საგნები. ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ მიმდინარე წლის გეგმას მრეწველობა 20 დეკემბრისათვის შეასრულებს.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული მიმდინარე წელს სოფლის მეურნეობაშიც. გაიზარდა ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა. ამინდის ცუდი პირობების მიუხედავად, მეჩაიეებმა წარმატებით შეასრულეს წლიური გეგმა, დავალების გადამეტებით მოკრიფეს 1.200 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი. ჩვენი მეციტრუსეები იმისათვის იბრძვიან, რომ მოკრიფონ ციტრუსოვანთა სულ ცოტა ნახევარი მილიარდი ცალი ნაყოფი. სახელმწიფოს მიეყიდება 2.725 ტონა თამბაქო, 5.000 ტონა ტუნგო — გაცილებით მეტი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

ძნელია სიტყვებით გადმოვცეთ პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ის დიდი აღმავლობა, რომელიც ახლა სუფევს სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. თითოეული კოლექტივი სახავს თავის მიჯნებს, რომლებიც უნდა აიღოს კომუნიზმისათვის ბრძოლაში. აჭარის პარტიული ორგანიზაციები, ხელმძღვანელობენ რა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მითითებით — ფუჭად არ დაკარგონ არც ერთი დღე, არც ერთი საათი, სათავეში უდგებიან მასებს, რაზმავენ მათ შემოქმედებითს ენერგიას კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად.

გორის რაიონის სოფელ ზედდულეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **ა. ი. დემეტრაშვილმა** აქტივის მონაწილეებს უამბო არტელის წარმატებებზე. ისწრაფვიან რა თავიანთი წვლილი შეიტანონ იმ ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა წამოაყენა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე, ზედდულეთელმა კოლმეურნეებმა მიაღწიეს საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობას. მიმდინარე წელს კოლმეურნეობამ უკვე მიჰყიდა სახელმწიფოს 4.600 ცენტნერი მარცვლეული, 500 ცენტნერი ხორცი, 1.600 ცენტნერი რძე, 4.000 ცენტნერი ხილი, 3.000 ცენტნერი ბოსტნეული და სხვა პროდუქტები. ასეთი დიდი რაოდენობით პროდუქცია წინათ არასოდეს არ დამზადებულა.

კოლმეურნეები ცდილობენ მიიღონ იაფი პროდუქცია. ამას აღწევენ მიწების ეფექტიანი გამოყენებით, შრომატევადი პროცესების მექანიზაციით. კომპლექსური მექანიზაციის დანერგვამ საშუალება მოგვცა მიმდინარე წლის 10 თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაგვეზოგა 30 ათასი შრომადღე, ამასთან გაგვედიდებინა სამუშაოთა მოცულობა.

კოლმეურნეობის გამგეობა და პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობენ მოწინავე გამოცდილების, სოფლის მეურნეობის მეცნიერების მიღწევების გავრცელებასა და დანერგვას. როცა ზედდულეთში გაზეთებიდან გაიგეს წარჩინებული მექანიზატორის ვლადიმერ სვეტლიჩნის წარმატებანი, არტელის სპეციალისტები და მექანიზატორები ესტუმრნენ მას კუბანში მისი გამოცდილების შესასწავლად. ნაკვეთზე, რომელიც სვეტლიჩნის მეთოდით დავამუშავეთ მანქანებით, დახარჯულია 7-ჯერ ნაკლები კაცდღე, ვიდრე სხვა ნაკვეთებზე. ეს მოწმობს არსებულ მდიდარ რეზერვებს. ნოვატორები გვიჩვენებენ სიუხვის გზას, და ჩვენ უნდა ვიაროთ ამ გზით.

ჩვენ, რუსთაველები, აცხადებს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მგლინავი ამხ. **ა. გ. აბუთიძე**, ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი ქალაქის საუკეთესო ადამიანებმა რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყეს მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის. ჩვენ ვამაყობთ მომავლის მზევრავთა კოლექტივებით, რომლებსაც ხელმძღვანელობენ არჩილ ძამაშვილი და ამირან ფანცულაია, ზაქარია ყაველაშვილი და ილარიონ ტაბატაძე, ანატოლი მამულაშვილი და პეტრე ბენდიანიშვილი, სიმონ სიხარულიძე და გიორგი თევზაძე.

კომუნისტური შრომისათვის ბრძოლა განსაკუთრებით გაძლიერდა კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისათვის მზადების დღეებში. ამან უზრუნველყო ახალი საწარმოო წარმატებების მოპოვება. დიდ მიღწევად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ ჩვენმა კოლექტივმა ერთ-ერთმა პირველმა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ ევროპაშიც განახორციელა მძლავრ მილსაგლინავ დგან „400“-ის კომპლექსური ავტომატიზაცია. წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით შვიდ ბრიგადას მიეკუთვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის სახელობის კოლექტივის საპატიო წოდება.

XXII ყრილობის გადაწყვეტილებებმა მეტალურგთა შორის შემოქმედებითი ენერგიის ახალი მოზღვავება გამოიწვია. ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივი მხურვალედ იწონებს ყრილობის გადაწყვეტილებებს, ღრმად სწავლობს მის ისტორიულ დოკუმენტებს — ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებს, პარტიის ახალ პროგრამასა და წესდებას. ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილებაა ვიცხოვროთ და ვიშრომოთ კომუნისტურად.

რუსთავის მშრომელებმა, თქვა დასასრულ ორატორმა, დამავალეს განვაცხადო ამ ტრიბუნიდან, რომ ისინი სავსებით და ერთსულოვნად იწონებენ ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის მიერ გაწეულ მუშაობას პიროვნების კულტის შედეგების დაძლევის, ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების აღდგენის, რევოლუციური კანონიერების ზუსტი დაცვის საქმეში. ჩვენ გულისწყრომით ვგმობთ პარტიისა და ხალხის მოღალატეებს, ანტიპარტიული ჯგუფის წევრებს მოლოტოვს, კაგანოვიჩს, მალენკოვს და მოვითხოვთ მათ სასტიკად დასჯას.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ამხ. **თ. ვ. ლაშქარაშვილმა** ილაპარაკა პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებული სკკპ პროგრამის მსოფლიოისტორიული მნიშვნელობის შესახებ, თავიანთი დიადი სამშობლოსათვის, მშობლიური კომუნისტური პარტიისათვის საბჭოთა ადამიანების პატრიოტული სიამაყის შესახებ, პარტიისა, რომელმაც საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს.

XXII ყრილობა ჩვენი პარტიის მონოლითური ერთიანობის, მისი სრული ერთსულოვნების და დარაზმულობის, ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპებისადმი, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისადმი მისი ურყევი ერთგულების ყრილობაა. პარტიის ეს თვისებები განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა იმ საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია პიროვნების კულტის დაგმობასთან, მისი შედეგების დაძლევასთან, ფრაქციონერთა ანტიპარტიული ჯგუფის მხილებასა და განადგურებასთან, რომლებიც ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ პარტიის მიერ დაგმობილი ხელმძღვანელობის მეთოდები.

სკკპ პროგრამაში ხაზგასმულია, აღნიშნა ორატორმა, რომ კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებულ წევრთა აღზრდის ძირითადი გზაა სწავლებისა და საწარმოო შრომის შეერთება. სწორედ, განათლებისა და აღზრდის ასეთი ხასიათი შეუწყობს ხელს ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას, რომელშიც ჰარმონიულად იქნება შეხამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სისპეტაკე და ფიზიკური სრულყოფა.

პარტიის XXII ყრილობამ მოიწონა სახალხო განათლების გარდაქმნისა და ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისათვის განხორციელებული ღონისძიებანი, დასახა ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების შემდგომი განვითარების გრანდიოზული პერსპექტივები. უახლოესი 10 წლის განმავლობაში განხორციელდება საყოველთაო სავალდებულო თერთმეტწლიანი საშუალო განათლება სასკოლო ასაკის ყველა ბავშვისათვის. არასოდეს არც ერთ სახელმწიფოს მსოფლიოში არ დაუსახავს და არც შეეძლო დაესახა ასეთი გრანდიოზული ამოცანა — სავალდებულო გახადა სრული საშუალო განათლება ყველა ბავშვისათვის, ამასთან მთლიანად ეკისრა მთელი ძირითადი ხარჯები.

ამხ. ლაშქარაშვილმა ილაპარაკა რესპუბლიკის სკოლების მუშაობის გარდაქმნის შესახებ. უკანასკნელ წლებში ამ მხრივ ბევრი რამ განხორციელდა. მაგალითად, მარტო მიმდინარე წელს სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად გამოყოფილია 12 მილიონი მანეთი, რაც ხუთჯერ და მეტად აღემატება ამავე მიზნით 1951 წელს დახარჯულ სახსრებს. ოთხ წელიწადში რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა ააშენეს 228 სკოლა, ასზე მეტი საბავშვო ბაღი და ბაგა. კიდევ დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ რესპუბლიკის სკოლებში სწავლებისა და აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, კერძოდ, კარგი შენობებით ყველა სკოლის უზრუნველყოფისა და მეცადინეობის ცვლიანობის ლიკვიდაციისათვის.

შეკრებილნი გულმოდგინედ ისმენენ მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრის, წარჩინებული მეჩაიის, სოციალისტური შრომის გმირის ამხ. **ტ. ნ. ჩხაიძის** გამოსვლას.

მე, ჩაის პლანტაციების მშრომელს, ამბობს იგი, წილად მხვდა დიდი პატივი — ვყოფილიყავი პარტიის ისტორიული ყრილობის დელეგატი. გული აღსავსეა უდიდესი სიხარულით, მშობლიური პარტიისადმი მადლიერებით. პარტიამ აღმზარდა და დიდი ცხოვრების გზაზე გამომიყვანა. მე ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილებთან ერთად მივეცი ხმა ჩვენი პარტიის პროგრამას — ხალხის ბედნიერების პროგრამას.

არასოდეს არ ამოიშლება ჩემს მეხსიერებაში მოსკოვში გატარებული დღეების შთაბეჭდილებანი. მგონია ახლაც ვხედავ კრემლის ყრილობათა დიდებულ სასახლეს, ვისმენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს: „ჩვენი მიზნები ნათელია, ამოცანები გარკვეულია. შევუდგეთ მუშაობას, ამხანაგებო! კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისათვის!“

ყრილობიდან დავბრუნდი აღფრთოვანებული, ძალღონითა და ენერგიით აღსავსე, მზად ვარ მთელი ძალღონე მოვახმარო ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეს. ვგრძნობ არა მარტო ჩემს დიდ პირად პასუხისმგებლობას, არამედ ჩემს მოვალეობადაც მიმაჩნია დავრაზმო ყველა ჩემი თანასოფლელი, რაიონის ყველა მშრომელი ახალი სახელოვანი შრომითი საქმეებისათვის — მე ხომ ყრილობის დელეგატი — პარტიის საქმისათვის მებრძოლი ვარ.

ჩვენ, მეჩაიეებს, გვიყვარს ჩვენი საქმე, მზრუნველობით მოგვყავს „მწვანე ოქრო“. შვიდწლედის დაძლევისათვის ქართველმა მეჩაიეებმა 200 ათასი ტონა ფოთოლი უნდა მოკრიფონ. ამ საქმეში ღირსეულ წვლილს შეიტანენ მახარაძელები. ისინი ვალდებულებას კისრულობენ 1965 წელს ჩაის ფოთლის მოსავალი გაადიდონ 45 ათას ტონამდე წლევანდელი 32 ათასი ტონის ნაცვლად. 45 მილიონი კილოგრამი ფოთლის მოსაკრეფად საჭიროა ბევრი ხელი, დიდი შრომითი დაძაბვა. ამიტომ ესოდენ საჭიროა პლანტაციების დასამუშავებელი, ფოთლის მექანიზებულად საკრეფი მანქანები.

21 წელია ჩაის ფოთოლს ვკრეფ. ამ ხანში 130 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი მოვკრიფე. ჩემს შრომას მაღალი შეფასება მისცეს პარტიამ, მთავრობამ, ხალხმა. ამ შეფასებითა და პარტიის პროგრამით აღფრთოვანებული, პირობას ვიძლევი 1980 წლამდე მოვკრიფო 150 ტონა ჩაის ფოთოლი. ეს ჩემი შეძლებისდაგვარი წვლილი იქნება კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ჩვენმა სამშობლომ, ამბობს საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **ა. კ. ქვარცხავა**, მიაღწია მეცნიერებისა და კულტურის უმაგალითო აყვავებას, უდიდეს ტექნიკურ პროგრესს, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. პარტიის XX ყრილობის შემდგომი პერიოდი მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეების ახალი გამარჯვების პერიოდი იყო. ამ მიღწევების ფონზე პარტიის მიმართ რა გამცემლურად გვეჩვენება მოლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვისა და სხვების ანტიპარტიული ჯგუფის მოქმედება, რომელნიც ცდილობდნენ გზა გადაეღობათ პარტიისათვის, ჩაეშალათ XX ყრილობის ლენინური კურსის განხორციელება. სწორად მოიქცა ჩვენი ლენინური ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, როცა გადაჭრით ამხილა და გაანადგურა ისინი.

ახალი პროგრამის მიხედვით კიდევ უფრო იზრდება კომუნისტური პარტიის როლი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში, ჩვენი ხალხის ბრძოლაში ლენინის უკვდავი ანდერძის განხორციელებისათვის. პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის მიერ პიროვნების კულტის [illegible] ლენინური ნორმების [illegible] უფრო [illegible] ტების ავტორიტეტი ყველა მშრომელის თვალში. საბჭოთა ადამიანებს დიდი რწმენა აქვთ პარტიისადმი, უყვართ იგი, მზად არიან შეასრულონ მისი ყოველი დავალება.

ჩვენი რაიონის პარტიული ორგანიზაცია ახლა ძირითად ყურადღებას უთმობს სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას. 1.600-ზე მეტი აგიტატორი აქტიურ მუშაობას ეწევა ყრილობის მასალების ახსნა-განმარტებისათვის. იმართება ლექციები, საუბრები, თეორიული სემინარები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოწყობილია გამოფენები. გავაცნოთ ისტორიული დოკუმენტების მთელი უდიდესი მნიშვნელობა თითოეულ მშრომელს — ასეთი ამოცანა დავისახეთ ჩვენ.

მოსახლეობაში მთელი მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მჭიდროდ დაკავშირებულია კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და დაწესებულებების წინაშე მდგომ ამოცანებთან. ზუგდიდის რაიონის — რესპუბლიკის მსხვილი სასოფლო-სამეურნეო რაიონის მშრომელები ისწრაფვიან ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში. XXII ყრილობის ტრიბუნიდან გაისმა განცხადება, რომ საქართველოს მეჩაიეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შვიდწლედის დამლევამდე მოკრიფონ 200 ათასი ტონა ხარისხოვანი ფოთოლი. 26 ათას ტონას ზუგდიდელები მოკრეფენ.

ნება მიბოძეთ პირობა მივცე კრების მონაწილეებს, რომ რაიონის კომუნისტები და ყველა მშრომელნი კონკრეტული საქმეებით, თავდადებული შრომით უპასუხებენ ჩვენი სახელოვანი პარტიის — კომუნიზმისათვის ბრძოლის დიადი მედროშის ყოველ დავალებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური XXII ყრილობის შედეგებისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ მოხსენების განხილვის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

კრებამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც საქართველოს ყველა კომუნისტის სახელით მთლიანად და სავსებით იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ კურსსა და პრაქტიკულ საქმიანობას საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, დასკვნებსა და წინადადებებს, რომლებსაც შეიცავს ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, პარტიის XXII ყრილობის რეზოლუციებს, სკკპ პროგრამასა და წესდებას და სხვა გადაწყვეტილებებს, რომლებიც ყრილობამ მიიღო, და განუხრელი ხელმძღვანელობისათვის იღებს მათ.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი. (საქდესი).

# ლ. ი. ბრეჟნევი სუდანში

საერთაშორისო ცხოვრება

**ხარტუმი**, 17 ნოემბერი. (საქდესი). დღეს სუდანის დედაქალაქი საზეიმოდ აღნიშნავს „რევოლუციის დღეს“—ახლანდელი მთავრობის ხელისუფლების სათავეში ჩადგომის მესამე წლისთავს.

ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ზეიმზე საპატიო სტუმრად იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც აქ საპატიო სახელმწიფო ვიზიტად არის.

**ხარტუმი**, 18 ნოემბერი. (საქდესი). 17 ნოემბერს დღის მეორე ნახევარი, როცა ხარტუმი ზეიმობდა რევოლუციის დღეს, აქ საპასუხო სახელმწიფო ვიზიტად მყოფმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა სუდანის დედაქალაქის მცხოვრებთა შორის გაატარა.

ლ. ი. ბრეჟნევი სუდანის შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრ იბრაჰიმ აბუდთან ერთად დაესწრო ხარტუმისა და ვად-მედანის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრას და გამარჯვებულ — ხარტუმის გუნდს აჩუქა ბურთი, რომელსაც არაბულ ენაზე ეწერა: „მხოლოდ სხვის კარში“.

მატჩის შემდეგ დაახლოებით 20 ათასმა მაყურებელმა დატოვა თავიანთი ადგილები და შეიკრიბა მთავრობის ტრიბუნის წინ. ისინი ხანგრძლივი შეძახილებითა და ტაშით მიესალმნენ საბჭოთა ხალხის წარგზავნილს.

საღამოს ლ. ი. ბრეჟნევი დაესწრო წარმოდგენას ხარტუმის ეროვნულ თეატრში, სადაც შეასრულეს ხალხური სიმღერები და ცეკვები.

ლ. ი. ბრეჟნევმა თეატრს გადასცა სსრ კავშირის სახელმწიფო ლენინის ორდენოსანი აკადემიური დიდი თეატრის ალბომი.

თეატრში მყოფი მაყურებლები ოვაციებით შეხვდნენ საბჭოთა სტუმარს.

# პრეს-კონფერენცია ბონში

ბონი, 17 ნოემბერი. (საქდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრესისა და ინფორმაციის უწყების ხელმძღვანელმა ეკარდტმა დღეს პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კროლი 20 ნოემბერს დაბრუნდება თავის პოსტზე მოსკოვში. კროლი ბონში გამოიძახეს მოხსენებისათვის ნ. ს. ხრუშჩოვთან საუბრის შემდეგ. ბონში მის ჩამოსვლამდე ერთი დღით ადრე ეკარდტმა პრეს-კონფერენციაზე გადაკვრით თქვა, რომ შესაძლოა კროლი გამოიწვიონ სსრ კავშირში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩის პოსტიდან იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურთან საუბარში კროლმა გამოთქვა „ზოგიერთი აზრი“, რომელთა გამოთქმა მას დავალებული არ ჰქონია.

დღევანდელ პრეს-კონფერენციაზე ეკარდტმა განაცხადა, რომ კროლმა ზოგიერთი აზრი, რაც არ შეესაბამებოდა ვაშინგტონის ოთხთა ჯგუფის მიერ (ესე იგი, დასავლეთის სამი სახელმწიფოს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელთა სამუშაო ჯგუფს — რედ. შენიშვნა) შემუშავებულ პოზიციას გამოთქვა, არა განზრახ, არამედ იმის გამო, რომ საკმაოდ არ იცნობდა ამ პოზიციას. ეკარდტმა დაიმოწმა კანცლერ ადენაუერის აზრი და მოიწონა ელჩ კროლის საქციელი ნ. ს. ხრუშჩოვთან საუბრის დროს. მან განაცხადა, რომ ტაქტიკურად სწორი არ იქნებოდა უარი ეთქვა პასუხი გაეცა სსრ კავშირის მთავრობის მეთაურის კითხვებზე იმ საბაბით, რომ ინსტრუქცია არ ჰქონდა მიღებული.

◆

## *თბილისი — მოსკოვი*

# ქართველი პიანისტის დიდი წარმატება

**მომავალ** გაზაფხულზე მოსკოვში გაიმართება პიანისტთა, მევიოლინეთა და ვიოლონჩელისტთა პ. ჩაიკოვსკის სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსი.

საერთაშორისო კონკურსისათვის შესარჩევ ტურებში, რომლებიც ამჟამად მოსკოვში მიმდინარეობს, საქართველოდან მონაწილეობს ოთხი მუსიკოსი — მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი მარინე გოგლიძე-მდივანი, მუსიკოს შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები ელისო ვირსალაძე და ციალა კვერნაძე და მუსიკოს შემსრულებელთა ამიერკავკასიის კონკურსის ლაურეატი ალექსანდრე ნიჟარაძე.

გუშინ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა მოსკოვში ჟიურის წევრს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორს პროფესორ ა. ტუსკიას. აი რა გადმოგვცა მან:

აქ დამთავრდა მეორე საერთაშორისო კონკურსისათვის შესარჩევი პირველი ტური, რომელშიც საქართველოდან მარტო ელისო ვირსალაძე მონაწილეობდა. მან საუკეთესოდ შეასრულა ბახის, მოცარტის, შოპენის, ლისტის, სკრიაბინის, რახმანინოვისა და ჩაიკოვსკის ნაწარმოებები, ძნელ კონკურსში გაიმარჯვა და მოიპოვა მეორე ტურში მონაწილეობის უფლება. ციალა კვერნაძემ და ალექსანდრე ნიჟარაძემ პირველ ტურში მონაწილეობა ვერ მიიღეს ავადმყოფობის გამო.

20-23 ნოემბერს მოეწყობა მეორე ტური. დასკვნითი მესამე ტური, რომელიც გაიმართება 1962 წლის თებერვალში, გამოავლენს პიანისტთა, მევიოლინეთა და ვიოლონჩელისტთა პ. ჩაიკოვსკის სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსის მონაწილეებს. დებულების თანახმად მარინე გოგლიძე-მდივანი დაუკრავს მესამე ტურში.

# სამი ამერიკა

### ოკეანეს გაღმა თბილისის დინამოელთა გამგზავრების გამო

**ეს სათაური** ნუ გაგაკვირვებთ. გეოგრაფიულად იგი თუ სავსებით ზუსტი არ არის, ფეხბურთის აზრით მას მოქალაქეობის სრული უფლება აქვს. დიახ, დასავლეთ ნახევარსფეროში ფეხბურთის სამი ამერიკაა, რომელთაგან თვითეულს აქვს თავისი სპეციფიკა, თავისი განსაკუთრებული თვისებები, თავისი სტილი. ამაში საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდებიან თბილისის დინამოელები, რომლებსაც წილად ხვდათ მოაწყონ ტურნე შორეულ ოკეანეს გაღმა ქვეყნებში. ტყავის ბურთის ქართველ ოსტატთა პროგრამაში გათვალისწინებულია გამოსვლები კუბაში, მექსიკასა და ბოლივიაში.

სწორედ ეს სამი ქვეყანაა სამი ამერიკის — ჩრდილოეთი, ცენტრალური და სამხრეთი ამერიკის წარმომადგენლები.

იქ, ოკეანეს გაღმა, ფეხბურთი ხომ ყველაზე პოპულარული, ყველაზე ხალხური სანახაობაა. ეს არის სპექტაკლი, რომელიც მილიონობით მაყურებელს იზიდავს. ეს არის არტისტული ფეხბურთი, რომლისთვისაც უცხოა ძალისმიერი ილეთები.

მცოდნენი ამტკიცებენ, რომ ფეხბურთის ქართული სკოლა მისი სილაღით, სილამაზით, მაღალი ტექნიკითა და იმპროვიზაციით ძალიან წააგავს სამხრეთ ამერიკის ან, უფრო სწორად, ლათინური ამერიკის თამაშს მანერითა და სტილით. ამიტომ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თბილისელთა გასტროლებს კუბაშიც, მექსიკაშიც, „ზეცისქვეშა“ ბოლივიაშიც დიდი წარმატება ექნება და საბჭოთა ფეხბურთის მედროშეებს იქ მხურვალედ შეხვდებიან.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს ძირითად თემას, ქართველ ფეხბურთელთა მომავალ მოწინააღმდეგეებთან გაცნობას.

ფეხბურთის იერარქიის თვალსაზრისით უნდა დავიწყოთ მექსიკელებით. ისინი ჰეგემონები არიან ჩრდილოეთ ამერიკის ფეხბურთში. თუმცა ეს დიდი დამსახურება არ არის, ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატების და კანადის ფეხბურთელებს საერთაშორისო კლასი არა აქვთ. აქაც და იქაც ფეხბურთი მაინცდამაინც ძალიან როდი უყვართ. ეს არის სპორტი ნომერი ორი, რომელიც გავრცელების მხრივ ოდნავაც ვერ შეედრება ისეთ ასპარეზობებს როგორიც არის ჰოკეი, კალათბურთი და განსაკუთრებით ბეისბოლი — ეს ჭეშმარიტად ეროვნული ამერიკული სპორტი.

მექსიკელებმა ამ სეზონში თავი გამოიჩინეს. გამოდიოდნენ რა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებებში, მათ გადალახეს მრავალი დაბრკოლება და მოიპოვეს ჩილის საგზური. ისე რომ მექსიკური ფეხბურთის ისტორიაში მექსიკა პირველად არის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის მონაწილე.

სამხრეთ ამერიკის კლასიფიკაციით პერუს ნაკრები გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია. იგი მეოთხე და მეხუთე ადგილს ინაწილებს ჩილელებთან. ავტორიტეტები ამტკიცებდნენ, მექსიკელები თავიანთ ძლიერ მოწინააღმდეგეებს ვერ სძლევენ. მაგრამ მექსიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ყოფილი ბრაზილიელი ასსი კარლოს ბაუერი სხვა აზრისა იყო. და იგი მართალი აღმოჩნდა. მექსიკის შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ ენთუზიაზმითა და თავისი ძალების რწმენით აღსავსე გუნდი, რომელსაც მაინცდამაინც დიდი გამოცდილება როდი აქვს საერთაშორისო შეხვედრებში უმაღლეს დონეზე, სიურპრიზით გაუმასპინძლდა პერუელებს, დაამარცხა ისინი თავის მოედანზე ანგარიშით 1:0 და ფრედ დაამთავრა საპასუხო მატჩი ასუნსიონში, სადაც პერუს ფეხბურთელები უძლეველად ითვლებოდნენ.

მექსიკის ნაკრები გუნდი დაკომპლექტებული იყო უძლიერესი კლუბების, მათ შორის მრავალგზის ჩემპიონის „გვადალახარის“, „ვერაკრუსისა“ და სხვა კლუბების ფეხბურთელებით. მექსიკელები თბილისელთა უეჭველად ყველაზე საშიში მეტოქენი არიან ამ ტურნეში. ეს ის ლაკმუსის ქაღალდია, რომლითაც შეიძლება შემოწმდეს მათი კლასი, სამხრეთ ამერიკის კრიტერიუმების საფუძველზე.

ოდესღაც კუბაზე ფეხბურთი სპორტის ყველაზე გავრცელებული და პოპულარული სახე იყო. კუბელი ფეხბურთელები წარმატებით გამოდიოდნენ მთელ რიგ საერთაშორისო და ლოკალურ ტურნირებში, მათ შორის პანამერიკულ ასპარეზობაში (ტურნირი სამივე ამერიკის ფეხბურთელთა მონაწილეობით), ცენტრალური ამერიკის ჩემპიონატში და სხვ. მაგრამ ბატისტას დიქტატურის დროს, რომელიც როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიების ნამდვილი ლაქია, ქედს იხრიდა ყოველივე ამერიკულის წინაშე, მათ შორის ამერიკული ცხოვრების წესის წინაშე სპორტშიც, კუბელებს ფეხბურთის ნაცვლად თავს მოახვიეს სპორტის ისეთი სახეები, როგორიც არის ბეისბოლი და ამერიკული რაგბი. ბუნებრივია, რომ ფეხბურთი დაკნინდა. მხოლოდ რევოლუციის შემდეგ, როცა ძალაუფლება ხალხის ხელში გადავიდა, ფეხბურთმა კვლავ იწყო აღორძინება, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია წინანდელ დონეს.

ახლა ფეხბურთმა კუბაში წინანდელი პოპულარობა მოიპოვა და ყველა კუბელის, მათ შორის კუბის რევოლუციის გმირის ფიდელ კასტროს საყვარელი სანახაობაა. ამას წინათ მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში მან თქვა, რომ კუბელი ხალხი ააშენებს ათასობით სკოლას და მათთან ათასობით საფეხბურთო მოედანს, რათა ეს სპორტი ახალგაზრდა თაობის კუთვნილება გახდეს. განახლდა ქვეყნის ჩემპიონატის გათამაშება, რომელშიც წამყვან როლს ასრულებენ ისეთი კლუბები, როგორიც არიან „სან ფრანცისკო“, „სერო“ და სხვები. შეიქმნა კუბის ნაკრები გუნდი, რომელიც ენერგიულად ვარჯიშობს საერთაშორისო შეხვედრებისათვის. დასახულია პროგრამა გამოსვლებისა არა მარტო კარიბის ზღვის აუზში, არამედ ევროპაშიც, სადაც, ცხადია, კუბელ მეგობრებს იმდენადვე გულითადი შეხვედრები ელით, როგორიც ქართველ ფეხბურთელებს კუბაზე აღმოუჩინეს. მალე ჰავანაში საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს დიდი სტადიონი, რომელიც აგებულია სამშენებლო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და სპორტულ ნაგებობათა ყველაზე თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ჩვენ შემთხვევით როდი ვუწოდეთ ბოლივიელებს „ზეცისქვეშელი“ ფეხბურთელები. ბოლივია, შეიძლება ითქვას, მსოფლიოში ყველაზე მაღალმთიანი ქვეყანაა. ამან თავისი დაღი დაასვა იქაურ ფეხბურთსაც. აბა იფიქრეთ — ბოლივიის დედაქალაქი ლაპასი ზღვის დონიდან დაახლოებით 4.000 მეტრ სიმაღლეზეა. ბოლივიელი ფეხბურთელები ამ სიმაღლეზე თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში. სულ სხვაა სტუმრები. ხოლო მით უმეტეს ზღვასპირელები. ბოლივიაში გამოსვლების დროს ისინი ჟანგბადის ნამდვილ შიმშილს განიცდიან. და შემთხვევითი როდია, რომ ბოლივიის სტადიონის გასახდელში ნახავთ უჩვეულო მოწყობილობებს, როგორიც მაგალითად, ჟანგბადის ბალონებს. შესვენების დროს ფეხბურთელები ხარბად ეწაფებიან ჟანგბადის ონკანს და ისუნთქავენ სიცოცხლის საუცხოო ელექსირს. „ალტიპლანოს“ (ზეცისქვეშეთის მცხოვრებნი) — ჩვეულებრივად ასე უწოდებენ სამხრეთ ამერიკაში ბოლივიელ ფეხბურთელებს. მაგრამ ისინი ყოველთვის როდი არიან ხელსაყრელ მდგომარეობაში. მათი ნამსახურობის სია მოწმობს, რომ როცა გამოსვლა უხდებათ ჟანგბადის „სიუხვის“ პირობებში, ესე იგი ბარის ქვეყნების სტადიონებზე, ისინი, როგორც წესი, აგებენ.

ბოლივიის ჩემპიონატში მონაწილეობს რვა გუნდი, რომელთაგან უძლიერესნი არიან „სან ხოსე დ ორო“, „ფეროვიარიო“, „დეპორტივო მუნისიპალ“ და სხვები. ბოლივიის ნაკრებს, რომელიც რეგულარულად მონაწილეობს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის გათამაშებაში, გამოცდილი სპეციალისტი ვისენტ არაია წვრთნის. ბოლივიის უძლიერეს ფეხბურთელად ითვლება ახალგაზრდა ალკონი, რომელიც მარცხენა ფრთაზე თამაშობს. თბილისელებს მოუხდებათ ყურადღებით ადევნონ თვალი ამ შემტევ და სწრაფ ფეხბურთელს, თორემ მან შეიძლება სერიოზული უსიამოვნება მიაყენოთ.

ბევრ ახალსა და საინტერესოს ნახავენ თბილისის დინამოელები ამერიკაში. იქ უეჭველად გაიმდიდრებენ გამოცდილებას და ეს მათთვის სასარგებლო იქნება სამშობლოში თამაშის დროს.

**ვ. ბლიუმენფელდი.**

# გ. სპასკის ორი ქულა

**ბაქო. 18 ნოემბერი.** (ტელეფონით. სპეც. კორ.). აზერბაიჯანის დედაქალაქი დიდი საჭადრაკო ბრძოლის მოწმეა. ჩვენი ქვეყნის XXIX საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალის ყოველი ტური აქ დიდძალ მაყურებელს იზიდავს.

მეორე ტურიდან ჩემპიონატში ჩაება მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, „ბობოქარი“ ტალი. იგი დღეს ჩამოვიდა ბაქოში და შეუსვენებლად მიუჯდა საჭადრაკო მაგიდას. მისი მეტოქე იყო ბაქოელი ოსტატი ბაგიროვი. პარტია არ დამთავრებულა, გადაიდო დაახლოებით თანასწორ მდგომარეობაში.

წარმატებით აიღო სტარტი ლენინგრადელმა გროსმაისტერმა სპასკიმ. მეორე ტურში იგი თამაშობდა რიგელი ოსტატის გიპსლისის წინააღმდეგ. ეს შეხვედრაც სპასკიმ კარგ სტილში ჩაატარა, მიიღო ძლიერი ენდშპილი და დაამარცხა მეტოქე.

ავერბახმა ვლადიმიროვის წინააღმდეგ დებიუტიდანვე მიიღო გარკვეული უპირატესობა, შეიჭრა მოწინააღმდეგის მეფის ბანაკში და მე-20 სვლაზე გაიმარჯვა. ნეიმეტდინოვმა და კერესმა თავი აარიდეს გართულებებს და თანაბარ პოზიციაში ყაიმს დასჯერდნენ ჯერ კიდევ 21-ე სვლაზე. ასეთივე შედეგით დამთავრდა აგრეთვე შიანოვსკი-მამკოვიჩის პარტია.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. გურგენიძემ სავონის წინააღმდეგ ყაიმისათვის უნდა იბრძოლოს.

კომუნისტი სპორტი

# ლიდერებმა პარტიები გადადეს

## პრეტენდენტთა ტურნირი ჭადრაკში

**ვრნიაჩკა-ბანია.** 18 ნოემბერი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). უკანასკნელი ტურების, მათ შორის მე-14 ტურის პარტიები, რომელიც დღეს შედგა, გამოირჩეოდა სიმძაფრით, შეუპოვრობით. არა მარტო მაყურებლების, არამედ თვით მონაწილეების ყურადღებაც კი გამახვილებული იყო ნედელკოვიჩ-გაფრინდაშვილისა და რინდერ-ბორისენკოს პარტიებზე.

პირველ პარტიაში გათამაშდა ესპანური დაცვა. გაფრინდაშვილმა აირჩია გაგრძელება, რომელიც თბილისში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში ტალ-პეტროსიანის პარტიას მოგვაგონებდა. ნედელკოვიჩი ისწრაფვოდა გართულებისაკენ, რასაც მან ნაწილობრივ მიაღწია და ცდილობდა მოწინააღმდეგის მეფის ფლანგზე იერიშის მიტანას, მაგრამ გაფრინდაშვილმა შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და კონტრთამაში შექმნა ლაზიერის ფლანგზე.

ეს პარტია დაუმთავრებელი დარჩა. ენდშპილში შავების პოზიცია ერთგვარად უკეთესია, მაგრამ არის თუ არა მოგების შანსები თქმა ძნელია. ამას ცხადყოფს პარტიის საშინაო გარჩევა. გაფრინდაშვილმა ჩაიწერა 45-ე სვლა.

აი გადადებული პოზიცია:

**ნედელკოვიჩი** (თეთრები) — მფ e3, მa3 მc1, პპ: b3. d5, e4, f3, g3, h4;

**გაფრინდაშვილი** (შავები) — მფ g7, კa6, მc5, პპ: a5, d6, e5, f5, g6, h5.

რინდერისა და ბორისენკოს პარტიაში მეტოქეებს დებიუტიდან დაახლოებით თანაბარი პოზიცია ჰქონდათ, მაგრამ სსრ კავშირის ჩემპიონი ენდშპილში უკეთესად თამაშობდა, მოიგო პაიკი და პარტია მისთვის მოსაგებ პოზიციაში გადადო.

ვოლპერტმა შავებით შოლდე დე სილანსთან ცუდად გაითამაშა დებიუტი, განიცადა მატერიალური ზარალი და მასთან ერთად დამარცხებაც. ზატულოვსკაიამ შესანიშნავ სტილში 39-ე სვლაზე ფარხმალი დააყრევინა გრესერს. ზვორიკინას ზედმეტი პაიკი და მოსაგები პოზიცია ჰქონდა პოლიქრონიადესთან, მაგრამ ამ უკანასკნელმა მოძებნა მუდმივი ქიშის შესაძლებლობა და პარტიაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლაუს 2 ზედმეტი პაიკი აქვს კარაკაშნესთან, პარტიაში ისეთი პოზიციაა შექმნილი, რომ მოსალოდნელია ყაიმი. ლეინი უგებს ჰუნდსურენს, კონარკოვსკა-შეემსკერკის პარტია გადადებულია თანაბარ პოზიციაში.

19 ნოემბერს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება.

◆

## მატჩ-რევანში

**კიევში** გრძელდება მსოფლიოს პირველობაზე მატჩ-რევანში ასუჯრედიან შაშში მსოფლიოს ჩემპიონ შჩეგოლევსა და ექს-ჩემპიონ კუპერმანს შორის.

გუშინ და გუშინწინ გათამაშდა მე-5 და მე-4 პარტიები, რომლებიც ყაიმით დამთავრდა. 5 პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიშია 3:2 კუპერმანის სასარგებლოდ.

## იაპონელი მოჭიდავეები მინსკში

**გუშინ** იაპონიის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა კოლექტივმა მინსკში გამართა საბჭოთა კავშირში თავის ტურნეს მორიგი საერთაშორისო შეხვედრა. ამჯერად სტუმართა წინააღმდეგ გამოვიდა ბელორუსიის ნაკრები. მატჩი ხასიათდებოდა შეუპოვარი ბრძოლით და დამთავრდა ფრედ 4:4.

რედაქტორი
**დ. მჟედლიშვილი.**

19 ნოემბერი



**თეატრები:** ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — გედის ტბა (დღისით), დიდოსტატის მარჯვენა (საღამოს, მე-2 აბონ. მე-5 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ღალატი (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (დღისით), აფროდიტეს კუნძული (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ბებერი სულელი (დღისით და საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — მხოლოდ შენ ერთს (რკინიგზელთა სახლში), **სანკულტურის** — თეთრი კურდღელი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ჩიკორი (აბონ. № 49. 12 ს., აბონ., № 26, 4 ს.).

**ტელევიზია:** 12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12.20 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 12.40 — მხატვრული ფილმი „ქარიყლაპიას ნებით“, 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.40 — გადაცემა „მ. ლომონოსოვი“, 18.50 — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.05 — გადაცემა „გამოჩენილი იტალიელი რეჟისორი ჯუზეპე დე სანტისი“, 19.45 — ციკლიდან „ჩვენი სტუმრები“ (ჩეხოსლოვაკიის „მხატვრული ბალეტი ყინულზე“ გასტროლების დაწყების გამო), 20.00 — საესტრადო კონცერტი.

უე 01205

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.